ტელეფ. 6-60 წელიწადი 1914 მეოთხე ტელეფ. 6-60

ორშაბათი, 2 ივნისი, № 178

# თემი

ორშაბათი, 2 ივნისი, № 178

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარი წლით—1 მ. და 25 კაპ., 1 თვით 25 კაპ.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა 10 საათიდან 1 საათამდის რედაქციაში Ольгинская, 4 д. Діасамидзе, ხ ლისმოწერა და განცხადებანი მიიღება, აქვე კვირა- უქმე დღეებს გარდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით



მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთვის

წელიწადი მეოთხე „თემი" წელიწადი მეოთხე

წლიურნი ხელის მომწერელნი მიიღებენ 2 საჩუქარს: 1) წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება აკაკის პოემა „რაჭა-ლეჩხუმი", რაჭა-ლეჩხუმში მისი მოგზაურობის ამბავი წარმოთქმული სიტყვები და ამ კუთხის რუკა (ქარტა); 2), ნ. ა. დუბროვსკის თხზულებას „ავგუსტ ბებელი", რომელიც საკუთრად „თემისათვის" არის დაწერილი.

ხელისმოწერა მიიღება „თემის" რედაქციაში (ოლგას ქ., სახ. დიასამიძისა, № 4) ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., ერთი თვით—25 კაპ. კონტორა ღიაა ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდე.

ადრესის გამოცვლა თბილისს გარეშე—40 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Ольгинская 4, д. Діасамидзе, редакція газ. „Теми"


„საქართველოს სისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების" საბჭო გულითადის მწუხარებით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ 1-ელ ივნისს გარდაიცვალა „საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი, მუზეუმ ბიბლიოთეკის გამგე და ხაზინადარი

## ალექსანდრე ივანეს-ძე სარაჯიშვილი

პანაშვიდი დღეს დილის 11 საათზე და საღამოს 7 საათზე. სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა № 4. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

გუშინ დილით გარდაიცვალა ფილტვების ანთებისაგან

## ალექსანდრე ივანეს-ძე სარაჯიშვილი

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას „თემის" რედაქცია.


განცხადება

## ხარფუხის კლუბი

გადავიდა საზაფხულო სადგომში, მიხეილის პროსპექტზე, № 131 ინჟინერ ბარტის ბაღში, სინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით.

დღეს, ორშაბათს, 2 ივნისს

მუსიკა და სინემატოგრაფი

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს 25 კაპ.

დასაწყისი $8^1/_2$ ს. საღამოს.

ექ. ვახტანგ დ. ლამბაშიძის

## სანატორიუმი

„პატარა-ცემი"

ბავშვებისათვის 8-15 წლამდე.

დაწვრილებითი ცნობები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ

მისამართი: თბილისს, ექიმ ვ. ლამბაშიძეს.


## განცხადება

სამხრეთ რუსეთში ქარიშხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შეწირულებათა შემგროვებელ კომიტეტის კავკასიის განყოფილება საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ წლის ათ მაისიდან განყოფილება დაიხურა და შეწირულებათა მიღება მოსპობილია. ყველას, ვისაც კი ხელში აქვთ შეწირულების შესაგროვებლად წიგნაკები, სთხოვენ ეს წიგნაკები ფულთან ერთად, თუ ფული აქვსთ მიღებული, დაუბრუნონ განყოფილების ხაზინადარს ვაჭართა მამასახლისს არკადი ნაზარის-ძეს მილოვს.


მეორე ხარისხოვანი

## საქალებო 4-კლასიანი კერძო სასწავლებელი

ქნ. ანასტასია ლევანის ასულ ჩერქეზიშვილისა.

სკოლაში მისაღებად გამოცდაზე ჩაწერა მაისიდან დაიწყება. გამოცდა საანბანო, უმცროს და უფროს განყოფილებაში მოხდება 23 მაისს, I და II კლასში 24 მაისს, მე-III კლას. 28 მაისს, მე-IV კლას—29 მაისს.

ალექსეევის ქუჩა, № 17.

## ქართული თეატრი

ორშაბათს, 2 ივნისს 1914 წ.

კლუბისა და თეატრის საზამთრო და საზაფხულო შენობაში.

გაიმართება

## საღამო-მონსტრი

ორს განყოფილებად

I.

1. სპარსული პანტომიმა

ინსცენიროვკა თ. ნ. ბეგთაბეგოვისა, მუსიკა კნ. თ. ვახვახიშვილისა შეასრულებს ახალ კლუბთან არსებული სცენის მოყვარეთა ჯგუფი.

2) სიმფონიური კონცერტი ი. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით და ბარიტონის გ. გ. ღვინიაშვილის მონაწილეობით.

3) იუმორისტიული დივერტისმენტი—თაგუნა.

II.

## მხიარულება და სიცილი

2 ივნისს მოხდება მოწყენილ თბილისელთა განკურნება!!

## მხატვრული კაბარე

პროლოგი: საშინელების თავზარდამცემი ნამი. ნეპოლიტანელი მოწანწალე ბულბული მომღერალი. ბ. ჯიანინო ძალიანა ჰგავს ვანო სარაჯიშვილს—არ აურიოთ იმღერებს ციმბალის აკომპანიმენტით.

გამოჩენილი ჩეხი იან პატარძეულის კარპატიდგან სცენაზედ ივლის!! რა გამოვა აქედგან—პატივცემული საზოგადოება თვით დაინახავს.

ახალი სტილის ორკესტრი (საკრავი იარაღი მთლად გამარტივებულია) ტფილისელთათვის ნაცნობი სამი გამოჩენილი ცირიქორების ლოტბარობით შეასრულებს რამდენიმე სიმფო-კაკო-ფუტო....... ნიურს ნომრებს.

ერთი ბატონი (გვარი დავკარგეთ) სცენაზედ .. არას გააკეთებს საზოგადოება ამისათვის მადლობას იტყვის.

ტაშის ცემათი გრგვინვა ორპირს პუბლიკაში.

საქანელა იქნებს თუ არა—ღმერთმანი არ ვიცით, მელოდიას შეასრულებს მცირე სივრცის ერიქონის ლოროტოტო ბ. ღვინიაშვილის გამგებლობით.

ამას გარდა რუმინთა ორკესტრი ღრმად დაიძინებს. საზოგადოებაში Footd ll

კლუბის დარბაზებში

დუქანი Stybe moderne ცნობილი მიკიტნისა

მხოლოდ Распивочно ღვინის სმას დაამშვენებს ორთაჭალური სიმფონია მსურველთათვის—ლექცია ლოთობის წინააღმდეგ.

მუზეუმი 1) ქართული დრამატ. საზოგადოებისა 2) ახალი კლუბისა.

სიძველეთა, აწმყოთა და მყობადის ნაშთები.

დიდს სასადილო დარბაზში ცეკვა

დასაწყისი საზამთრო შენობაში სად. 9 ს. საზაფხულო შენობაში სად. 10 საათზე.

კაბარეს დასაწყისი ღამის 12 საათზედ.

შესვლის ფასი: საზაფხულო თეატრში 2 მან. საზამთრო შენობაში 1 მან. 50 კაპ.. საზაფხულო თეატრში ამას გარდა იხდიან კლუბში შესასვლელს 50 კ. ქანდარა საყოველთაოა.

ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.

## ახალი კლუბი

(საზაფხულო შენობა)

სამშაბათს, 3 თიბათვეს, 1914 წ.

## ვ. ა. გურკო

წაიკითხავს ლექციას

„თეთრი საფრთხე"

(აღმოსავლეთი და დასავლეთი)

ლექციის შინაარსი: 1) ბრძოლა დასავლეთის კულტურისა და აღმოსავლეთისა. 2) ტრადიციული შეხედულება აღმოსავლეთის დაცემაზე: ქალებთან მოპყრობა, სისასტიკე, ფანატიკოსობა. 3) უნაყოფო ცდა დასავლეთის და აღმოსავლეთის კულტურის შეერთებისა: ინდოეთი, იაპონია. 4) ქრისტიანობის ქადაგების უძლურობა აღმოსავლეთში 5) სიავის და ტანჯვის პრობლემა ქრისტიანობაში, ისლამში, ბუდიზმში, ინდოეთის ფილოსოფიაში. 6) ნების მისტიციზმი დავრიშებში, იოგებში და ბუდდისტ მისტიკოსებში, თავისმოსპობისადმი ლტოლვილება. 7) ფილოსოფიური პრინციპები აღმოსავლეთის ცხოვრებისა. აზროვნებასა და ხელოვნებაში. 8) ძირითადი სტიქიონი აღმოსავლეთისა: ბაბიზმი, სპარსეთის თეატრი, ტაგორის პოეზია, ჩინეთის და იაპონიის მხატვრობა. 10) თეთრი საფრთხე.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

ადგილების ფასი: 20 კაპ. 1 მ. 20 კაპ.-მდე. სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს მამაკაცები—1 მან. მანდილოსნები—50 კაპ., სტუდენტები—25 კაპ.

ბაღში უკრავს ყოველდღე რუმინელთა ორკესტრი, ბ. კოვაჩის ლოტბარობით. სად. 10 საათიდან—ღამის 3 საათამდე.

## ახალი კლუბი

(საზაფხულო შენობა)

პარასკევს, 6 ივნისს 1914 წ.

ჩვეულებრივ

## სინემატოგრაფიული სურათები

მუსიკალურ პიესებს დაუკრავს ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

ქ. ი. ზუბალაშვილების სახელობის ქალაქის სახალხო სახლში.

შაბათს 7 ივნისს 1914 წ.

ქ-ნი ელ ჩერქეზიშვილის და ბ. ნ ალ. წუწუნავას მონაწილეობით სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება: ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდგან გადაკეთებული და ახლად შესწორებული პ. ირეთელის მიერ ცნობილი პიესა

## ქრისტინე

დრამა 4 მოქ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ს. ანკარა, ელ. ჩერქეზიშვილი, მ. რომანიშვილისა, ბ. კორინთელი, ელ. ციმაკურიძე, ელ. რუისპირელი, თ. ყიფშიძე. ბ.ბ. ს. არმაკუნი, გ. ანაშვილი, ნ. გოცირიძე, ი. მინდიაშვილი, ვ. ნინიძე, ვ. რატიშვილი, მ. ქიაურელი, ნ. ქუმბურელი, ალ. წუწუნავა.

ადგილების ფასები 5 კ-დან 50 კ-მდე

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ ს.

რეჟისორი ალ. წუწუნავა.

გამგე ალ. ბადრიძე.


## ტფილისი, 2 ივნისი.

ჩვენ მრავალი დასაბუთებული წერილი მოგვდის ქართული პრესის დაცემის შესახებ. ყველა წერილის დასტამბვა შეუძლებელია და მერე ამ „პროტესტებმა" დაჰკარგეს სრულებით თავის მნიშვნელობა, რადგანაც მათ ხშირად სრულებით არ ეტყობა ის სიდარბაისლე და საფუძვლიანობა, რომელიც, უეჭველად, უნდა ჰქონდეს ხოლმე საზოგადოების აღშფოთებას და რისხვას.

ჩვენში შესაძლებელია პერიოდულ გამოცემას ზიზღი გამოუცხადო, მერე კი ხელ-ახლა დაუწყო მას ბაასი და დაეკითხო კიდეც, რა აზრისა ხარ ამა და ამ საგანზეო. სხვაგან, მაგ., ევროპაში გაზეთს, რომელსაც უკვე ზიზღი ექნებოდა გამოცხადებული, არც დაეკითხებოდენ, არც გამოელაპარაკებოდენ, მაგრამ ჩვენში ყველაფერი უცნაურია. ზიზღის გამოცხადება და ლანძღვაც რაღაც საკვირველი სიმჩატით და უაზროდ ხდება. თვით ზიზღის გამომცხადებელს და მლანძღველს გულით არა სწამს, რომ ის, ვინც გამხდარა მისი მსხვერპლი, ღირსი იყოს ზიზღისა და ლანძღვისა. ამიტომ ჩვენ ხშირი მოწმე ვხდებით, დღეს თუ ერთ პირს, ან ორგანოს ზიზღს უცხადებენ, ლანძღვენ და ათრევენ, ხვალ მას, თითქოს არაფერი იყოს, ემუსაიფებიან. ეს მეტად სავალალო მდგომარეობაა და მოსაწყვენელია იმის, რომ ჩვენ კარგა ხანს არ გვექნება ნამდვილ საზოგადოებრივ აზრის გამომსახველი პრესა.

ჩვენში არაფრად აგდებენ მკითხველს... მისი პატივისცემა, მისი ინტერესი რომ ჰქონდეთ სახეში, განა იმისთანა საკვებს მიუტანდენ, როგორც მას ხშირად ხვდება წილად დღეს?

ყოველი თავის თავის პატივისმცემელი გამოცემა მუდამ სცდილობს გაიჩინოს მკითხველი—მეგობარი. არა გვგონია ჩვენს გამოცემებს ეს მკითხველი—მეგობარი მრავლად ჰყავდეს, რადგანაც ყოველი ზომა მიღებულია მის დასაფრთხობად. შეიძლება მკითხველმა აიღოს ხელში გაზეთი, გადიკითხოს მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ვისმე ლანძღვა ან რომელიმე პამფლეტ-პასკვილია დაბეჭდილი, მაგრამ ამისთანა მკითხველი წარმავალია, დროებითია. ის მხოლოდ შემთხვევით კითხულობს გაზეთს: სერიოზულად დაინტერესებული არ არის. ამიტომ დარბაისლური პრესა არასოდეს არ ჰბეჭდავს პამფლეტებს. ეს რომ ექმნა, ის თავისთავს დაიმცირებდა ნამდვილ მკითხველ—მეგობრის თვალში.

განა შესაძლებელია, მაგალითად, გაზ. „რუსკია ვედომოსტებმა", ჟურნალმა „სოვრემენნი მირმა", „რუსკოე ბოგატსტვომ", „ზავეტებმა", „ვესტნიკ ევროპიმ" დაჰბეჭდოს პასკვილი ან პამფლეტი, რომელშიაც ვისიმე პიროვნება საქირდავ საგნად არის აღებული? ჩვენში კი ეს შესაძლებელი ყოფილა.

სხვაგან, სადაც ნამდვილი საზოგადოებრივი აზრი არსებობს, ასეთ გამრყვნელ წერილებს, რომელიც აგებულია რომელიმე პიროვნების შელახვაზე, მკითხველი სრულებით არა ჰყავს; არავინ ყურადღებას არ აქცევს: არც საზოგადოებას და არც თვით ნიშანში ამოღებული პირი. ჩვენში საუბედუროდ, სულ სხვაა. თუ არ გასცემ პასუხს, სიძაბუნეში და სილაჩრეში ჩამოგართმევენ. საუბედუროდ, ეს „მაღალ" წრეებში არ არის მარტო, დემოკრატიულ წრეებშიაც ხშირად მოისმენთ ასეთ შეხედულებას.

ამიტომ, ჩვენის აზრით, დემოკრატიულ წრეების შეგნებული ნაწილი ყოველთვის უნდა ჰგმობდეს ასეთ წერილებს, რომელიც მხოლოდ ჰრყვნის და ჰშხამავს გონებას.

ჩვენ მხოლოდ ამ ნაწილის იმედი გვაქვს, რომ ის ყველ ღონეს იღონებს დემოკრატიულ პრესის გაუმჯობესებისათვის, რადგანაც, ვფიქრობთ, რომ ამ წრეებში არ არის ისე გავრცელებული პირად ინტერესთა, თავმოყვარეობათა და პატივმოყვარეობათა შეხლა-შეტაკება, როგორც ბურჟუაზიულ ინტელიგენციაში.

დემოკრატიულ წრეების მიზანი ყოველთვის საერთო სიმართლიანობა და მთელი ხალხის თანასწორი კეთილმდგომარეობაა...

## † ალექსანდრე ივანესძე სარაჯიშვილი

კიდევ ერთი თვალსაჩინო წევრი დაჰკარგა ჩვენმა საზოგადოებამ! . შოთას დიდი ქმნილების მკვლევარი, ჩვენი ხალხის ისტორიის და სიძველეთა დიდი მოყვარული და ერთგული მუშაკი.

რა გულმოდგინედ უვლიდა ჩვენს დიდებულ საუნჯეს—ეროვნულ მუზეუმს. რა რიგად შეჰხაროდა მის ზრდასა და გამდიდრებას ამ უკანასკნელ დროს! მაგრამ არ დასცალდა ეს დიადი საქმე, რომელშიაც დიდი წვლილი ჰქონდა შეტანილი განსვენებულს, ენახა სამაგალითოდ და მის სამშობლოერის სადიდებლად დამთავრებული...

დავკარგეთ დაუღალავი მუშაკი, პატიოსანი მწერალი, ღირსეული ადამიანი...

ალექსანდრე სარაჯიშვილის ხსოვნის პატივისცემა

გუშინ, 1 ივნისს, ქართველ თავადაზნაურობის სასახლეში დაიწყო საგანგებო კრების სხდომები. დიდ-ძალ ხალხს მოეყარა თავი სხდომაზე. უცებ გავრცელდა ხმა, რომ დილის 9 საათზე გარდაიცვალა ცნობილი მოღვაწე ალექსანდრე სარაჯიშვილიო. ეს ამბავი ელვასავით მოედო მთელ კრებას და გამოიწვია უზომო მწუხარება. კრების თავმჯდომარემ თავ. კონსტ. აბხაზმა აცნობა რა ეს სამწუხარო ამბავი დამსწრეთ, სთხოვა პატივი ეცათ განსვენებულის ხსოვნისათვის ფეხზე ადგომით. კრების წევრთ გლოვის ნიშნად აასრულეს ეს წინადადება და რამდენსამე წუთს ღრმა დუმილში ფეხზე იდგენ.

# გლეხთა განთავისუფლების საქმე და ილია ჭავჭავაძე

პ. გელეიშვილის ლექციის გამო დაწერილ წერილში „ილიას სოციალური შეხედულება“, („თემი“ № 161), ჩვენ ვამბობდით: **„ლექტორის მტკიცება, რომ ილია გლეხების მიწით განთავისუფლების წინააღმდეგი იყო, დაუმტკიცებელი დარჩა“.** როცა ამ სტრიქონებს ვწერდით, ჩვენ ძალიან კარგად ვიცოდით, რომ ამას არ გვაპატიებდა არც პ. გელეიშვილი, არც მისი „მეგობარი“. მას შემდეგ ხელ-ახლა მიჰყო ხელი ჩვენს ლანძღვას, მაგრამ, ჩვენ, როგორც პარტიათა გარეშე მდგომთ, გვაინტერესებს მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტება, თუნდ რომ ეს ჭეშმარიტება კიდეც საწყენი იყოს რომელსამე ან პირისათვის, ან ჯგუფისათვის, ან პარტიისათვისაც. ჩვენი გაზეთი ამდენი ხნის განმავლობაში ყოველთვის მოუწოდებდა მკითხველს მიუდგომლად ერკვია ჭეშმარიტება, სამართლიანი აზრი გამოეთქვა ჩვენს ძველსა და ახალს მოღვაწეებზე მიმართულების განურჩევლად. კერპების დასახვა საზოგადო ცხოვრებაში ყოველთვის მავნებლად მიგვაჩნდა. ასეთის თვალით ვუყურებდით და ვუყურებთ ახლაც ილიასაც ჩვენ მოვითხოვთ ყოველთვის ამ დიდი მოღვაწის ნაწერის და ნამოქმედარის კრიტიკას, მხოლოდ სამართლიანს, არატენდენციურს. პ. გელეიშვილს ძალიან კარგად ესმოდა, თუ რომ დავამტკიცეთ ილიას გლეხთა მიწით განთავისუფლების მომხრეობა, მაშინ მის შეხედულებას და ლექციას გამოვაცლიდით ძედა-ბოძს, მაშინ მთელ მის შენობასაც დანგრევა მოელოდა, ამიტომაც განგვირისხდა...

მაგრამ ჩვენ ხომ ვისიმე გულის მოსაგებად არა ვწერთ. ამიტომაც განვაგრძობთ ძიებას.

პ. გელეიშვილი თავის შეხედულებას ამყარებს ერთს საბუთზე, რომელიც ინახება წერა-კითხვის საზოგადოებაში თბილისში.

ეს საბუთი გახლავთ **ხელნაწერი** № 2443, რომელსაც სათაურად აქვს „შეკრება ოცდაერთის აზრისა ორას ორმოცთა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონ-ყმობაზედ, შედგენილი აპრილს 1863 წ. 33,9×45,5 სანტიმეტრი (იხ. „კატალოგი ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნთსაცავისა“ ტფილისი 1905. გვ. 229.).

რომ უფრო ნათელგვეყო ეს საბუთი ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის, ჩვენ გავაკეთებინეთ კლიშე სწორედ იმ ადგილისა, რომელიც პ. გელეიშვილს მიაჩნია თავის მსჯელობის უტყუარ საბუთად.

აი ეს ადგილიც.



როგორცა სჩანს ამ საბუთიდან, **ზევით 1 უჯრის წინ სწერია:** რიცხვი და სახელები პირთა, ვისიც აზრი არის შემოტანილი.

**მერე მისდევს თოთხმეტი უჯრა, რომელნიც შემდეგს კითხვებს შეიცავენ:**

1. ფულს ვითხოვთ რა ანგარიშით და რა მოსაზრებით? 2. გლეხებს ნუ გადახდება ფულიო, რა მიზეზით? 3. კომლზედ მსახურის მაგიერად ვითხოვთ ფულსა, თუ სხვა საფუძვლით? 4. რა მიზეზით ვესარჩლებით გლეხებსა? 5. ადგილს რა მიზეზით ვერ ვაძლევთ? 6. როგორ დავწყოთ საქმე რომ გლეხები გვიმადლიდნენ? 7. პირველი ვადის გასვლამდინ რა სარგებლობა უნდა გვეძლეოდეს ადგილმამულისაგან? 8. თუ ქვეყნის ჩვეულებას დავადგეთ, აღვრიცხოთ სად რა ჩვეულებაა თუ არა? 9. თუ ახალს დავაწესებთ რასმე, რას რის მაგივრად დავაწესებთ და შემსუბუქება გლეხს რაში ექმნება? 10. თუ ჩვეულებაზედ დავემყარებით ამ ჩვეულების მიხედვით ნაწილ-ნაწილად დავყოთ ქვეყანა თუ არა? 11. ჩვეულებას თუ ვადას დაუწესებთ, ვსთქვათ თუ არა, რომ ვადას მერმეთ ნებაყოფლობით მორიგდებით? 12. თუ გლეხს ჩვეულებით მუშა ემართება გადაკვეთილი ფასი დავაწესოთ მუშის მაგივრად თუ არა? 13. ვადის გასვლამდისინ გლეხს ნება ექნება გადასახლებისა და ბატონს დათხოვნისა თუ არა, როდის რა მიზეზით და როგორ? 14. ვა და რამდენი ემჯობინება.

**ქვევით მოყვანილია მეცხრე აზრი მებატონეთა მიერ წარმოთქმული ბატონ-ყმობაზე.**

თელავის უეზდიდამ 9) ცხრა პირნი: გენერალ-მაიორი კნიაზ ივანე შალიკოვი, სტატსკი სოვეტნიკი კნიაზ დიმიტრი ჯორჯაძე, კნიაზ სპირიდონ ჯანდიერი, კნიაზ ალექსანდრე ჯორჯაძე, გუბერნსკი სეკრეტარი დიმიტრი მგალობლოვი, პოდპოვნიკი კნიაზ დავით ქობულოვი, კნიაზ ილია ჭავჭავაძე, კნიაზ დავით მაჟაევი, კნიაზ ნიკოლოზ ჭავჭავაძე.

**ეს ცხრა მემამულე, რომელთა რიცხვშიაც ვინმე „კნიაზ ილია ჭავჭავაძეც“ ურევია, პირველს ექვს კითხვაზე შემდეგს პასუხს იძლევიან:**

**პასუხი 5 მუხლად არის, 1, 2, 3, 4, 5 და 6 უჯრების ქვეშ.**

1. საბატონო გლეხთ მიეცეთ თავისუფლება ყოვლის პირადის სამსახურისა და დამოკიდებულებისაგან 2. აღიწეროს დაწვრილებით ის დანაკლისი და გარემოება, რომელშიაც შევლენ მებატონენი პირადის გლეხთ სამსახურის მოშლისაგან და ეთხოვოს მთავრობას შეეწეოს ფულითა, 3. მამული რომელშიაც გლეხთა აქვთ ბინადრობა, ესე იგი: სახლ-კარი, სხვადასხვა მოშენება, ვენახი და სახნავი დაშთეს ხელშეუვალ საკუთრებად მებატონეთა, 4. განთავისუფლებულთ გლეხთ დაშთეთ ნება დროებით სარგებლობისა იმავე სახლ-კარით და საბლის მამულის სახნავით რომელიც დღეს უჭირავს ხელში, 5. რაც ვადა დაწესდება, იმ ვადამდის გლეხს არ მოეშალოს თავისი ბინადრობა და ზემოხსენებულის მამულის ხმარება.

**მეშვიდე კითხვის ქვეშ:** ამ გლეხებს უნდა დაედოთ გადაკვეთილის ხარჯის გადება სასარგებლოდ მებატონეთა, ესე იგი დაეწესოთ ხარჯი: ბინადრობისა, ვენახისა, სახნავისა, ტყისა და საძოვრის ხმარებაზედ.

**მეათე კითხვის ქვეშ:** მეშვიდეს მუხლში არის მოხსენებული.

**მეთერთმეტე კითხვაზე:** როდესაც დაწესებული ვადა გავიდეს, მებატონეს უფლება ქონდეს ისე, მორიგდეს იმის მამულზედ მდგომარეს გლეხსა როგორც ენებოს და თუ გლეხებმა მებატონის მოთხოვნილება არ მიიღონ, მაშინ დაუტეონ მისი მამული.

**მეთოთხმეტე კითხვაზე:** რაც წესი დაიდება იმ წესმა უნდა იმოქმედოს ათის ანუ მეტნაკლების წლის ვადით.

ვინ არის ეს „კნიაზ ილია ჭავჭავაძე“, როდის და სად უწერია ხელი ასეთს აზრებზე, ან სად ულაპარაკნია ამგვარი რამ, ყველა ამაზე პასუხია საჭირო. სანამ უტყუარ მასალას ამ კითხვების გადასაწყვეტად არ შევკრებთ, არ შეიძლება დავეთანხმოთ პ. გელეიშვილს მსჯელობაში. „შეკრების“ შემდგენელს მხოლოდ მაშინ დაეჯერება, როცა ცალკე პირთა საკუთარი (პირადი) აზრი მოჰყავს, როგორც, მაგ. გენერალ კონსტანტინე მამაცაშვილისა, ხოლო, სადაც **კოლექტიური საერთო აზრი** აქვს მოყვანილი, აქ ის არ დაეძებს, მართლა ყველა მისგან დასახელებული პირი (რიცხვით ზოგჯერ ორმოცზე მეტი) იზიარებს მას თუ არა. მისთვის ასეთ შემთხვევაში არც დოკუმენტია საჭირო, არც წერილობითი და არც ზეპირი თანხმობა, მას ჰგონია, რომ ამდენი და ამდენი პირი ამადა ამ აზრის თანახმანი არიან, ან თუ თანახმა არა, წინააღმდეგი მაინც არ იქნებიანო. ვერავინ დაიჯერებს, რომ ეს „კნიაზი ილია ჭავჭავაძე“ ჩვენი ცნობილი მოღვაწე და მწერალი იყოს. ეს ილია რომ ყოფილიყო, თვით მის სახელს პირდაპირ მიწერილი იქნებოდა მისი აზრიც. მოხსენებული ი. ჭავჭავაძე ან სხვა ვინმე ილია ჭავჭავაძეა (იყვენ და არიან ჭავჭავაძენი, ჩვენი მწერლის სეხნიები), ან და ილიას სახელი განგებ არის შეტანილი მისდა გაუგებლად, რომ მისთვის მოესპოთ საშუალება ოპოზიციაში ჩასდგომოდა ბატონ-ყმობის მომხრე თავადაზნაურობას. და რომ ჩვენი ილია დიდი მოწინააღმდეგე იყო ამისი, ეს სხვათა შორის, მტკიცდება იმ „მოგონებიდანაც“, რომელიც ეკუთვნის გენ. ქრისტ. მამაცაშვილს. აი რას ამბობს ეს უკანასკნელი:

თავად აზნაურთა საგანგებო კრებაზე, რომელიც მოწვეული იყო გლეხთა განთავისუფლების პროექტის განსახილველად, „ოქმების წაკითხვის შემდეგ დაიწყო კამათი. წამოდგა ახალგაზრდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე, და ხმამაღლა განაცხადა, რომ გლეხს მიწა უნდა მიეცესო. კრების უმეტესობა ამ კადნიერმა აზრმა ააშფოთა. ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა და ლანძღვა-გინებით ილიასკენ გაიწია და ჰყვიროდა: „გამიშვით, გამიშვით! ეხლავე უნდა მოვკლაო“. გაგიჟებული თავადი შეაკავეს და ძლივს ძლიობით გაიყვანეს კრებიდან. მე გობბორზე ვმსახურობდი. ზემოხსენებული ამბავი შემატყობინა ილია წინამძღვრიშვილმა, რომელიც მწერდა: ჩქარა ტფილისში ჩამოდი. რამდენიმე ახალგაზრდობა ილიას გარს შემოვერტყათ და ბატონ ყმობის მოსპობის საქმე დავიცვათო მეც ჩამოვედი. რამდენიმე ახალგაზრდა და მათ შორის ან. ფურცელაძე და წერილის ავტორიც მუდმივ შორი ახლოს მივსდევდით ილიას და მზად ვიყავით დაგვეცვა ახალგაზრდა პოეტი მეორე კრებაზე გლეხთა განთავისუფლების წინააღმდეგ ილაპარაკა გენ.-ლეიტენანტმა ივ. მუხრანსკიმ. მან განაცხადა, უმიწოდ გლეხთა განთავისუფლებას მთელი თავად აზნაურობა მიემხრობაო, მიწიანად კი მხოლოდ ორიოდე კაცუნაო. ილია ჭავჭავაძემ ორატორს ხელი სტაცა, მოაბრუნა თავისკენ და ჰკითხა: „ვინ არის ეგ კაცუნებიო?“ მუხრანსკიმ მიუგო, რომ ის შესცდა და „რამდენიმე კაცუნას“ მაგივრად უნდა ეთქვა „რამდენიმე კაცი“. (იხ. წიგნი ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება) 1907 წ. გვ. 66—67“).

რომ ილია ჭავჭავაძე მართლაც მედგარი მომხრე იყო გლეხთა განთავისუფლებისა მიწიანად, ეს სჩანს ცხადად იმ მოხსენებიდან, რომელიც დასწერა მან 4 მაისს 1864 წელს და რომელშიაც „იგი უარჰყოფს მთავრობის პროექტს და ამბობს, რომ გლეხთა განთავისუფლების საკითხი ისე უნდა გადასწყდეს, რომ ორივე წოდება სრულებით დამოუკიდებელნი უნდა იყვენ როგორც პირად, ისე ქონებრივ ურთიერთობის მხრივ“. ამ მოხსენებას ცნობილი მიუდგომელი მკვლევარი სვ. ავალიანი უწოდებს **შესანიშნავს და რადიკალურს.** სვ. ავალიანმა ჩვენს ტელეგრაფიულ შეკითხვაზე გვიპასუხა: სახელი თავ. ჭავჭავაძისა აღნიშნული არ არის დოკუმენტებშიო. მაგრამ ნუ თუ ეს გარემოება უნდა გვაძლევდეს ნებას უარვყოთ ილიას ავტორობა? ნუ თუ არ არის საშუალება აღმოვაჩინოთ ამ შესანიშნავ და რადიკალურ მოხსენების ავტორის ჭავჭავაძის სახელი? არის... ჯერ-ერთი, რომ რადიკალი ჭავჭავაძე არავინ იყო იმ დროს, გარდა ჩვენი ილიასი და მერე ახლაც ცოცხალია ის ადამიანი, რომელიც იმ დროს მუშობდა გლეხთა განთავისუფლების საქმეში. ეს გახლავთ თავ. ზაალ ნოშრევანის ძე ჭავჭავაძე. ჩვენ მივსწერეთ მას: „თემის“ რედაქცია მოგმართავთ თქვენ შემდეგის თხოვნით: როგორც ავტორს გლეხთა განთავისუფლების ერთ-ერთ პროექტისა, სახელდობრ 1863 წლის 27 თიბათვისა, თქვენ, უეჭველია, გეცოდინებათ, თუ ვინ იყო და რა ერქვა იმ თავად ჭავჭავაძეს, რომელმაც 4 მაისს 1864 წელს დასწერა ცნობილი კრიტიკული წერილი მთავრობის ანუ კომიტეტის პროექტზე გლეხთა განთავისუფლების შესახებ, და რომელსაც იხსენიებს სვ. ავალიანი თავის შრომის 1 ტომის 348 გვერდზე (Крестьянскій вопросъ въ Закавказъѣ). თუ იცით, გთხოვთ კეთილ ინებოთ და ამ წერილზედვე აღნიშნოთ“. თავ. ზაალ ჭავჭავაძემ დაუყოვნებლივ გვამცნო: **„ვასრულებ სიამოვნებით თქვენი რედაქციის თხოვნას. ის თავ. ჭავჭავაძე, რომელსაც იხსენიებს სვ. ავალიანი თავის შრომის 348 გვერდზე, გახლავთ ჩვენი ცნობილი მწერალი თავ. ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძე.** მე ილიას გარდა, არავის სხვა ჭავჭავაძეს არ წარუდგენია მაშინ პროექტი ან კრიტიკული წერილი“. ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მოგვყავს ამ მაწერ მოწერის ფაქსიმილეს:



ჩვენის აზრით, ახლა ეჭვი არავის უნდა ჰქონდეს, რომ ილია მომხრე იყო გლეხთა მიწით განთავისუფლებისა. ეს სხვაფრივ არც იყო შესაძლებელი „კაკო-ყაჩაღის“ და „გლახის ნაამბობის“ შემქმნელისათვის...

---

# ახალი ამბები

დღეს ქართულ თეატრში და ახალი კლუბის საზაფხულო შენობაში გაიმართება ყოვლად საინტერესო თავისებური იუმორისტული საღამო ქართ. დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ.

——

თბილისის დეპუტატთა საკრებულომ გუბერნიის მარშლის თავ. კონსტ. აბხაზის მეთაურობით შაბათს მომხდარ კერძო თათბირზე ერთხმად მიიღო წინადადება უმაღლესი შუამდგომლობა აღიძრას, რათა ეპატიოს სრულებით სასჯელი ქუთაისის ცნობილ მოღვაწეებს კირილე ლორთქიფანიძეს და დავით ბაქრაძეს (ქუთ. საურთიერთო კრედიტის ბანკის უწესრიგო მართვის თაობაზე). როგორც ვუწყით ქუთაისის თავადაზნაურობის შუამდგომლობით ხსენებულ პირთ პალატის მიერ დანიშნული პატიმართა განყოფილება სათანადო უწყებამ 6 თვის ციხით შეუცვალა. შუამდგომლობას, როგორც შევიტყვეთ, ამ დღეებშივე აღძრავს სადეპუტატო საკრებულო.

——

მგოსან გრიგოლ ორბელიანის ძეგლის დასადგმელად თბილისში საჯარო ადგილას მისმა ძმისწულმა მწერალმა გიორგი ილიას ძე ორბელიანმა შესწირა 6.000 მან. მოქანდაკე იაკ. ნიკოლაძემ დაამზადა მშვენიერი მოდელი განზრახულ ძეგლისა.

——

დღეს გამოვა ჩვენი მგოსნის კონსტ. მაყაშვილის ლექსთა კრებული „ლირიკა“. დაურიგდება „თემის“ შარშანდელ ხელისმომწერლებს.

——

გამოვიდა ჩვენი ახალგაზრდა მგოსნის გ. ქუჩიშვილის ნაწერების ორი პატარა ტომი. პირველში დასტამბულია ლექსები, მეორეში მოთხრობები. გამოცემა სადაა და მეტად შნოიანია.

——

ჩვენ მივიღეთ პარიზიდან ახალგაზრდა მუსიკე **ერეკლე ჯაბადარისაგან** შემდეგი სამძიმრის დეპეშა: „თქვენთან ერთად ვსტირი დიდებულ მსახიობის კოტე მესხის დაკარგვას“.

——

ჩვენმა რედაქციამ მიიღო ქ. ბ. ანასტასია ქავთარაძისაგან მისი ძმის ქუჩუ ქავთარაძის—„დემონის“—ნაწერები. ამ ნაწერების გამოცემას აპირებს ჩვენი რედაქცია.

——

მომავალ წელს, 7 იანვარს, სრულდება ერთი საუკუნე, რაც გარდაიცვალა იმერეთის უკანასკნელი **მეფე სოლომონ-მეორე.** ზოგიერთ თავადაზნაურთ, როგორც შევიტყვეთ, სურთ მიჰმართონ ქუთაისის თავადაზნაურობას წინადადებით, რომ მეფის ნეშტი გადმოსვენებულ იქმნას გელათის მონასტერში ქ. ტრაპიზონიდან, სადაც ის გარდაიცვალა რუსების მიერ იმერეთის დაპყრობის შემდეგ. თავის დროზე ეს განზრახვა არ იქმნა, თურმე, სისრულეში მოყვანილი, თუმცა ფორმალურად ნება-დართული იყო რუსის მთავრობისაგან.

——

**ხარფუხის კლუბი** გადავიდა საზაფხულოდ მიხეილის ქუჩაზე, № 131, ინჟენერის ბარტის დიდ ბაღში. კლუბს თავისი საკუთარი სინემატოგრაფი აქვს. 29 მაისს იყო ამ ბაღში პირველი საღამო. კლუბის საზაფხულო სადგომში, მუდამ გაიმართება წარმოდგენები, ლექციები, კონცერტები, სალიტერატურო და სამუსიკო საღამოები, საბავშო და სახალხო სეირნობა.

——

30 მაისს სათათბიროში მოვიდა თავმჯდომარე საერთაშორისო სოციალისტური ბიუროსი, ბელგიის პარლამენტის წევრი, ცნობილი ვანდერველდე. აკადემიკოსმა მაქს. კოვალევსკიმ გაუმართა საუზმე, რომელსაც დაესწრნენ სტახოვიჩი და მილიუკოვი.

——

ნავთის სამრეწველოზე ბაქოში დიდი გაფიცვაა. გაფიცულია 30.000-ზე მეტი მუშა.

——

საფრანგეთში დაეცა რიბოს ახლად შემდგარი სამინისტრო, 306 დეპუტატმა გამოუცხადა უნდობლობა; კაბინეთს მხარი დაუჭირა 262 დეპუტატმა. მიღებულ ფორმულაში აღნიშნულია, რომ პალატა ნდობას გამოუცხადებს, მხოლოდ იმ სამინისტროს, რომელიც მოახერხებს გააერთიანოს მემარცხენე ძალნი.

---

# სახალხო მასწავლებლების ექსკურსიები

ცნობილ სახალხო მასწავლებელმა ლადო ბზვანელმა „სახალხო ფურცლის“ გუშინდელ ნომერში გამოაცხადა მისგან შემუშავებული ექსკურსიების გზა ანუ მარშრუტი, რომელიც აქვე მოგვყავს.

1. **შავიზღვის ნაპირის სამეგრელო-სამურზაყანო - აფხაზეთით:** ქუთაის-ახალ სენაკი-ქვალონი-ხობი-ხეთა ცაიში-ზუგდიდი (მდ. ინგური) გალი-ილორი-ოჩამჩირე-დრანდა—სოხუმი-ათონის-მონასტერი-ფოთი-ბათომი-ჩაქვა-ქობულეთი-ქუთაისი. მგზავრობა იქნება ასე: ქუთაისიდან ახალ სენაკამდე მატარებლით, შემდეგ ფეხით და ხან დილიჟანს-ლინეიკებით შავი ზღვის პირის გზა-ტკეცილით, ათონიდან გემით ბათუმამდე, შემდეგ მატარებლით ქუთაისამდე. თუ საშუალება ნებას მოგვცემს და თან ჯანმთელობაც, შეგვიძლიან ახალი ათონის მონასტრის დათვალიერების შემდეგ გავყვეთ იქითაც და ვინახულოთ ბიჭვინტა გაგრა-სოჩი და ტუაპსე, შემდეგ **ნოვოროსიისკი** საიდანაც დავბრუნდებით ბათუმს გემით.

2. **ფოთ-ბათუმის ექსკურსია:** ქუთაისი—ხონი—მათხოჯის მონასტერი—გორდი—ნაქალაქევი—მარტვილის მონასტერი—სალხინო—აბაშა (ჩანჩქერით)—თეკლათის მონასტერი—ძველი და ახალი სენაკი (ხან ფეხით, ხან ეტლით), შემდეგ (მატარებლით) ფოთი—ბათუმი—ქობულეთი— ჩაქვა — ჯუმათის მონასტერი— ქუთაისი.

3. **აბასთუმან—ბორჯომ—ბაკურიანის ექსკურსია:** ქუთაისი—აჯამეთი (ანანოვების მამული)—ბაღდათი—ზეკარი—აბასთუმანი—ახალციხე—ბორჯომი—ბაკურიანი—მიხაილოვო—სურამი—შორაპანი და ქუთაისი. გზავრობა ბორჯომამდე ფეხით შეგვხვდება, შემდეგ კი მატარებლით პირველ ექსკურსიას ჩემის აზრით დასჭირდება 15 დღე და ხარჯი თითოეულს არა ნაკლებ 15 მანეთისა, ბინას ვიშოვით ღამის გასათევად სასწავლებლებში უმეტეს ნაწილად; ექსკურსანტმა უნდა იქონიოს პასპორტი, საცვალი, საზაფხულო საბანი და პატარა ბალიში ან მუთაქა. საექსკურსიოდ გამგზავრება აჯობებს 22 ივნისიდან, ამისათვის ექსკურსანტები უნდა შეიკრიბონ ქუთაისში 21 ივნისს, შაბათს დღით. პირველი ექსკურსია სამძიმო იქნება ყველასათვის, რადგან ძვირად დაჯდება და მასწავლებლები არ არიან მომზადებულნი, მეორე და მესამე კი უფრო საადვილო და იაფიც; შეღავათის ბილეთებს რკინის გზა არ მოგვცემს, ზღვით კი შესაძლებელია 50% დაგვიკლონ. ეხლა საჭიროა მსურველმა თავისი აზრი გამოსთქვას და მომაწოდოს ივნისის 8—10 რიცხვამდე უსათუოდ. გაზეთის საშუალებით იქნება თუ კერძო წერილით (მე მგონია კერძო წერილით აჯობებს სიჩქარისთვის), ვინ ისურვებს, ან რომელი ექსკურსია შევასრულოთ (მასწავლებელ ქალებსაც შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ) და როდის. მომავალი წლებისათვის შეგვიძლიან მოვაწყოთ ექსკურსიის საქმე ამ გვარად: თითოეულმა მასწავლებელმა პირველ ივნისიდან დაწყებული, რომ დღეში გადასდოს ერთი შაური და შეინახოს თავისთვის საექსკურსიო კასაში, წლისთავზე ექნება 20 მანეთი ყოველთვის და ადვილად მიიღებს მონაწილეობას ყოველ ზაფხულს. ამგვარად თუ მოინდომებენ მასწავლებლები გაეცნობიან ზემო-ქვემო იმერეთს, მეორეჯერ გურია სამეგრელოს, შემდეგ სამურზაყანო-აფხაზეთს, რაჭა ლეჩხუმს, სვანეთს, ქართლ-კახეთს და აჭარა-ქობულეთს.

მსურველთ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი და სურვილი შემდეგი მისამართით: Кутаисъ, Старо-Лагерная, домъ № 19. ვლ. ნაცვლიშვილს.

---

# მჭედელი ვილანდი

ზღაპარი რიხარდ ვაგნერისა.

მჭედელი ვილანდი დიდ სიხარულსა და სიამოვნებას განიცდიდა თავის შრომის დროს: ის სჭედავდა ხელოვნურ სამკაულებსა, დიადსა და მშვენიერს, ლამაზსა და ბრწყინვალეს საჭურველს. ერთხელ ის ზღვაში ბანაობდა. მან დაინახა გედი-ქალწული, რომელიც თავის დებთან ერთად ლაჟვარდოვან ცის სივრცეში მიფრინავდა.

ქალწულმა საჩქაროდ გაიხადა სამოსელი გედისა და მსწრაფლ გადაეშვა ზღვაში. ვილანდი აღიგზნო ძლიერი სიყვარულით, ისიც გადაეშვა ტალღებში და დიდი ბრძოლის შემდეგ დაიპყრო მშვენიერი ქალწული. სიყვარულმა სძლია სიამაყე ქალისა; მან შეუერთა მას ცხოვრება თვისი და ალავსო იგი გულითადი მზრუნველობითა. გედმა-ქალწულმა აჩუქა ვილანდს ბეჭედი და უთხრა:

—ვილანდ, ეს ბეჭედი არასოდეს უკან არ დამიბრუნო. ჩემი სიყვარული შენდამი ისე ძლიერია, როგორც ჩემი აღგზნებული მისწრაფება თავისუფლებისადმი; ეს ბეჭედი კი ხელ-ახლა მომანიჭებს ჩემს წინანდელ ძლიერებას და შემაძლებინებს ბედნიერ კუნძულზე—ჩემს სამშობლოში—უკან დავბრუნდე.

ვილანდმა გამოჭედა ბევრი იმისთანა ბეჭდები, როგორც მას გედმა-ქალწულმა აჩუქა, აასხა ცაცხვის ქერქზე და თავის სახლში დაჰკიდა

„ამოდენა ბეჭდებში ქალი ვერ იპოვის თავის ბეჭედსაო“—ჰფიქრობდა იგი.

ერთხელ ვილანდი სახლში დაბრუნდა და ნახა, რომ მისი სახლი დანგრეული და ცოლიც შორს გაფრენილა.

——

ბატონ ნეიდინგს ბევრი რამ გაეგო ვილანდის ხელოვნებაზე. მას დიდი ხანი უნდოდა ტყვეთ წაეყვანა მჭედელი, რომ მას მხოლოდ მისს სასარგებლოდ ეშრომა. ნეიდინგმა შესაფერი საბაბიც იშოვნა თავის სურვილების სისრულეში მოსაყვანად: ოქროს, რომლითაც ვილანდი სამკაულებს ჰკვერავდა ბატონის მიწაზე პოულობდა. ამნაირად ის მის სიმდიდრეს ითვისებდა.

ნეიდინგი გარს შემოერტყა ვილანდის სახლს, მოულოდნელად თავს დაესხა, შებოჭა და ტყვეთ წაიყვანა.

ნეიდინგის სასახლეში ვილანდს ძალით აჭედინებდნენ დიდსა და სასარგებლო საგნებს: ჯავშნებსა, სამხედრო აბჯრებს და საჭურველსა. ყველა ამითი ნეიდინგი სარგებლობდა თავის სამფლობელოს გასაძ

ერებლად. მხოლოდ რომ ვილანდს მუშაობა შესძლებოდა, საჭირო იყო მისი ბორკილებისაგან განთავისუფლება. მაგრამ მისი გაქცევისა ეშინოდა. ნეიდინგმა ბევრი იფიქრა რაიმე საშუალება მოეგონებინა რომ ვილანდისთვის გაქცევაში ხელი შეეშალა. ბოლოს მას მოუვიდა ერთი ბედნიერი აზრი: გადაეჭრა მჭედლისთვის ცალ-ფეხზე ყველა ძარღვები: ვილანდს ხომ ხელებით უნდა ეშრომა და არა ფეხებით.

ამნაირად მოხერხებული და მხიარული ვილანდი, რომელმაც ბევრი ღირს-შესანიშნავი ხავნები შეჰქმნა, გახდა უუბედურეს ადამიანათ ქვეყანაზე. მწუხარებისაგან დაჩაგრული დამახინჯებული და ულამაზო ვილანდი იძულებული იყო ქედ-მოხრილი გრდემლზე, ემუშავნა, რომ თავის შრომით თვის ბატონის ძლიერება გაეზარდა.

აბა ვის შეეძლო გაეზომა სიღრმე მისი ტანჯვა-წვალებისა, როცა ის ნაღვლიანად ფიქრობდა თავის ყოფილ თავისუფლებაზე, თავის ხელოვნებაზე, თავისი მშვენიერ ცოლზე!! ვინ ჩასწვდებოდა მას რისხვის სიძლიერეში მისი საშინელ დამცირებისა გამო!

თავის სამჭედლოდან ვილანდი მიაპყრობდა ნაღვლიან თვალებს სურვილების ალმძვრელ ლაჟვარდოვან ცას, საიდანაც ძირს დაეშვა მისი გედი-ქალწული, რომლის სამფლობელოსაც შეადგენდა ეს ლაჟვარდოვანი სივრცე. ის დაფრინავდა იქ თავისუფალი და ბედნიერი; ვილანდს კი სამჭედლოს მყრალი ორთქლით და ბოლით უნდა ესუნთქა ნეიდინგის გასამდიდრებლად.

ოხ! ეს ერთ ადგილას მილურსმული ადამიანი, რომელსაც მწარედ დასცინიან! მას არასოდეს არ ძალუძს მონახოს თავის მშვენიერი ცოლი!

ვაი თუ ვილანდი მთელ თავის სიცოცხლეში ასეთი უბედური დარჩეს, მაშინ დილის სხივოსანი ცისკარიც თავის სიცხოველეს დაჰკარგავს მისთვის! მაგრამ... თუ სანუგეშო არაფერი დარჩენია მას—შურისძიება ხომ მის ხელთაა?! დიახ! შური უნდა იძიოს მასზე, რომელმაც თავის უმსგავსო ეგოიზმის დასაკმაყოფილებლად ასეთ მწუხარების უფსკრულში ჩააგდო ის!

ვილანდიც შურისძიებაზე ფიქრობდა. დღითი დღე იზრდებოდა მისი უბედურება; დღითი დღე უცხოველდებოდა მას სურვილი. მან სავსებით შეიპყრო ვილანდის მთელი არსება.

მაგრამ როგორ გადაუხდის ვილანდი?! უბედური, კოჭლი საპყარი! ერთი გაბედული და შეუპოვარი ნაბიჯი და ის მიწაზე გაიშხლართება! მის სირცხვილს საზღვარი აღარ ექნება და მტერიც სასაცილოდ აიგდებს.

„ოოო! შენ, ჩემო საყვარელო და მიუწდომელო ცოლო! ნეტავ შენი ფრთები შემესხას! მაშინ შევძლებდი აქედან წასვლას, საძაგელ მონობის თავის დახწევას! . მაშინ შევძლებდი მტერზე შურისძიებით ჩემი სურვილები გამეძლო!“

აუცილებლობამ ვილანდის სევდით აღსავსე გულს სიხარული მოჰფინა, მთელ მის არსებას ძლიერი ფრთები შეასხა, მის ტვინში აზროვნება გაალვიძა, აღტაცებით აავსო მისი სული.

აუცილებლობამ, საშინელმა, ყოვლის შემძლე აუცილებლობამ ასწავლა დამონავებულ ხელოვანს მოეგონებინა ის, რაც მთელი კაცობრიობის ტვინი ვერ მიხვდა და ვერც მოიგონა.

ვილანდმა მოიგონა ის საიდუმლოება: მან გამოჰკვერა, გააკეთა თავისთვის ფრთები! მოიგონა ფრთები, რომ გაბედულად მაღლა ასულიყო; ფრთები, რომ გადაფრენილიყო თავის ცოლის ბედნიერ კუნძულზედ!

მან შეჰქმნა და დაასრულა ის, რაც მას დიადმა აუცილებლობამ უკარნახა. ის მაღლა გაფრინდა თავის ხელოვნებით შექმნილ ფრთებით; ისრით გაჰგმირა მტრის გული და გაბედული ფრენით შეუერთდა ლაჟვარდოვან ცის სივრცეს, სადაც იპოვა თავის სიყრმის საყვარელი—ქალი.

**შავი.**

ციმბირი.

## ქ ა ლ ი

მთვარე მის გაშლილ თმას ოქროთი ვარცხნის. ტყე სდუმს; სულგანაბული იგი მის კისკასა ხმას უგდებს ყურს...

ორი ვაჟი მის გიჟ თვალებს ვედრებით შესცქერის.

—მე, მხოლოდ მე!..—ეუბნება ერთი.

—ის ნუ! მარტო მე...—ევედრება მეორე ოცნებით აღგზნებული თვალებით.

ქალი ორივეს უცინის, ორივეს იმედის ალში სწვავს.

და მიდიან ტყეში, სულ განაბულ ტყეში...

—მე!..

—არა, მე!..

—მე თქვენ, ორივეს დაგასაჩუქრებთ...—ჩაიკისკისა ქალმა და ზღვა-თვალებით ჯერ ერთს გაუცინა და მერე მეორეს.

იმედით აენთენ...

ქალი დაიხარა, მოსწყვიტა და ერთს ვარდი მისცა, მეორეს—ჭინჭარი...

—გმადლობთ, მე თქვენ სიცოცხლე, ბედნიერება მაჩუქეთ,—ოთხათ იკეცება პირველი.

—მე - ჭინჭარი! რა ულმობელი ხართ, რა გულცივი,—ჰკვნესის ჭინჭრით გულ და ხელ დათუთქული მეორე...

და ქალის ფიქრი სხვას უკოცნის ტუჩებს, ქალი მესამესთან აზარებს სალამს ტრფიალთა მუნჯ მოციქულს.

ერთი ნეტარებით ღიმება, მეორეს გული უტირის და გიჟი თვალები კი ორივეს დასცინიან...

**ალ. ცირეკიძე.**

26 მაისი.

## ნეტავი რად სდუმან ჭირისუფლები?!

სხვა მრავალ უარყოფით თვისებათა შორის ჩვენ ერთი თვალსაჩინო თვისება-ნაკლულევანებაც გვაქვს.

წამოაყენებს თუ არა ჩვენი ბედკრული ცხოვრება კითხვას, რომლის გადაჭრას ის თხოულობს დაუყოვნებლივ, ჩვენც ავპილპილდებით, გავწიალდებით და გავჩუმდებით...

გვავიწყდება, რომ არის კითხვა, რომელიც თხოულობს დაბადებისთანავე პასუხს, რომლის გადადება სხვა დროისთვის მიუტევებელი ცოდვაა საზოგადოების შეგნებული ნაწილის მხრით...

გვავიწყდება, რომ საქმის რიგიან დაგვირგვინებისათვის საჭიროა ხანგრძლივი მეცადინეობა, ყველა საშუალების ხმარება, ყოველგვარ დაბრკოლებასთან ბრძოლა.

გვავიწყდება... და, სამწუხაროდ, ესაა მიზეზი, რომ არა ერთი და ორი კითხვა, არა ერთი და ორი კეთილი განზრახვა რჩება ჩვენში „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“...

თუ არ ამ სამარცხვინო თვისება-ავათმყოფობით, აბა მაშ რითი უნდა აიხსნას ის გულგრილობა, ის სამარცხვინო სიზანტე, რომელსაც იჩენს დღეს ჩვენი საზოგადოების შეგნებული ნაწილი იმ დიდიხნის დაწყლულებულ კითხვისადმი, რომელიც შეეხება ქართული ენის სწავლების არა-ნორმალურ მდგომარეობას ჩვენ საშუალო სასწავლებელში.

კითხვა დაიბადა. აღნიშნულ იქმნა უნუგეშო მდგომარეობა; გამოქვეყნდა სურვილი ამ ენის სწავლების სასურველ კალაპოტში ჩაყენების შესახებ. რა გაკეთდა? სრულიად არაფერი! ავპილპილდით ზოგიერთები და მივყუჩდით.

სადაა სიწითლე?! ნუ თუ ისე გადავგვარდით, რომ სირცხვილიც დავკარგეთ? ნუ თუ არ გვესმის, რომ ჩვენი ამგვარი გულ-გრილობით მიუტევებელ დანაშაულს ჩავდივართ მომავლის წინაშე; ნუ თუ ვერ ვხედავთ, რომ ამგვარი მოქმედებით წიხლჩაკრულ ჩვენს ენას კიდევ წიხლს ვარტყამთ, დამწვარს მდუღარეს ვასხამთ...

ბატონებო, მგონია, დროა გამოვფხიზლდეთ. კითხვა, რომელიც აღიძრა ქართული ენის შესახებ,—ეს იმდენად სერიოზული კითხვაა, იმდენად მომწიფებულია იგი, რომ ქართველი ერის საუკეთესო შვილებმა, თუ მათ მშობელი ერის ტკივილები აწუხებთ, არ უნდა დასტოვონ ეს კითხვა უყურადღებოდ, გამოურკვევლად, უპასუხოდ.

ნეტავი სად არიან ქართული ენის ჭირისუფლები? ხმას რატომ არ იღებენ?

ნეტავი სად მიმალულან ქართული ენის მასწავლებლები? რას გვეუბნებიან ისინი თავიანთი სიჩუმით? იქნებ მას, რომ ქართული ენა საშუალო სასწავლებელში არც ისე ცუდად ჰგრძნობს თავს, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ამას ამოწმებენ ქართული ენის მასწავლებლები თავიანთი მოქმედებითაც: გადახედეთ საშუალო სასწ. მოწაფეების დღიურებს და თქვენ ნახავთ, რომ ქართულ ენაში,—ამ არა-სავალდებულო საგანში უკეთესი ნიშნები აქვს მოწაფეს, ვიდრე სხვა სავალდებულო საგნებში.

გადახედეთ სამოსწავლო წლის ბოლოს საშ. სას. ჟურნალებს და თქვენი თვალებით დაინახავთ, რომ ქართულ ენაში ასს % კარგი ნიშანი აქვს, სავალდებულო საგნებში კი არა. მაშასადამე, როგორც ხედავთ, ქართული ენის მასწავ. მოწმობით, დიდებულად გვქონია საქმე, ტყუილ-უბრალოდ ვწუწუნებთ. სჩანს, რომ მასწავლებელი ძალასა და ღონეს არ ზოგავს, რომ ქართული ენა სასურველად შეასწავლოს მოწაფეს; სჩანს, რომ ქართველი მოწაფეც გულიანად ეწაფება სამშ. ენისა და ლიტერატურის შესწავლას. მერე კი ეს ასეა?!. ნეტავი მართლა, თქვენის სიცოცხლით, ასე იყოს! მაგრამ მაგარი ის არის, რომ მწარე სინამდვილე სანუგეშოს არას გვეუბნება.

საკმაოა ქართ. ენის მასწავლებელი დაეკითხოს სინიდისის ქვეშ თავის თავს: იციან საშუალო სასწავლებლების მოწაფეებმა ქართული ენა? თუ ამ ვაჟკაცობას ჩაიდენს, ის ნათლად დაინახავს, რომ, ჩვენდა სასირცხოდ, ქართული ენა, როგორც არა სავალდებულო, მოსწავლე ახალგაზრდობის 95% არ იცის...

ნეტავი რა დროს უცდის დალოცვილი „შეგნებული მასწავლებელი“ და არ გვიზიარებს თავის აზრს ამ ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ: საკვირველია, სწორედ: საცინლად აგდებულია ქართული ენა, საცინლად აგდებულია ამ ენის მასწავლებელი და იმ დროს, როცა კითხვა დასმულია, როცა მასწავლებლის ალაპარაკებას შეუძლია დიდძალი მასალა მოგვცეს ხელში,—ის ხმას არ იღებს, სადღაც მიმალულა და მაგრად დაუფარებია ტუჩებზე ხელი.

ყველაზედ უფრო გვაკვირვებს ჩვენი ერის საუკეთესო შვილების გულგრილობა ამ ფრიად სერიოზულ და მომწიფებულ კითხვისადმი. ეჭვი არაა მათ გათვალისწინებული ექნებათ საქმის გარემოება. უთუოდ დააინტერესებდათ კითხვა, რომელიც აღიძრა ქართული ენის შესახებ. ნეტავი რად სდუმან? ნამდვილად ეხლაა საჭირო მათი ხმა, მათი სიტყვა და მოქმედება. ნუთუ ისინიც შეურიგდენ სამშობლო ენის სწავლების სამარცხვინო მდგომარეობას? ნეტავი ვის უყურებენ? იქნებ ქართველ მშობელს? მაგრამ... ვაი იმ მშობელს, რომელსაც ქართული ენა ზედმეტ ბარგად მიაჩნია თავისი შვილისათვის; იმ ქართველ მშობელს, რომლის გადაგვარება იმ ზომამდისაც კი აღწევს, რომ მიდის დირექტორთან და სრულიად გაუწითლებლად სთხოვს შვილის განთავისუფლებას ქართული ენის გაკვეთილებიდან, იმ მშობელს, რომელიც გაიძახის ქართულ ენას ჩემი შვილი ქუჩაშიაც კი ისწავლისო; იმ მშობელს, ჩემის ფიქრით საქმის გამოსწორება არ ძალუძს: მას ჭირისუფლობის ზნე, როგორც გადაგვარების გზაზე შემდგარს, აღარა აქვს...

ჩვენ იმედი გვაქვს ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების, იმ შვილების, რომელნიც გადაგვარების გზაზე ჯერ შორს არიან, იმ შვილების, რომელთაც შეუსწავლიათ ჩვენი წარსული, გაუთვალისწინებიათ ეხლანდელი მდგომარეობა მშობელი ერისა, რომელნიც ჰფიქრობენ და მუდამ ჰფიქრობენ ამ ერის მომავალზე; იმ შვილების, რომელთაც მუდამ ახსოვთ უკვდავი სიტყვები: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს... “მოკვდა ენა, მოკვდა ერიც“.

აი ამგვარი ადამიანებისაკენ არის მიქცეული მთელი ჩვენი ყურადღება. ისინი არიან, ჩემის ღრმა რწმენით, დღეს აბუჩად აგდებული ქართული ენის ჭირისუფლები. მათი და მხოლოდ მათი დარბაისლური, ჭკვიანური მოქმედება მოუპოვებს ქართულ ენას სავალდებულო საგნის ადგილს საშუალო სასწავლებელში.

რაც ჩქარა გავიგონებთ ამ ჭირისუფლების ხმას ქართული ენის შესახებ, რაც ჩქარა მოჰყვება ამ ხმას მათი მოქმედება, იმდენად ადრე მოიხდიან ისინი თავის ვალს. იმდენად უკეთესი იქნება საქმის რიგიანად დაგვირგვინებისათვის!

თორემ სიჩუმით,—მაპატიეთ,—ხელს შევუწყობთ ჩვენი ენის დღევანდელ მდგომარეობაში ჩამყენებელს და, ეჭვი არაა, დავკარგავთ იმ „კუდ მოკვეცილ პროგრამას“ და იმ „მეექვსე გაკვეთილსაც“, რომელსაც, ჩვენდა სასირცხოდ, აქვს ადგილი დღევანდელ გარემოებაში.

**გორგი.**

P. S. ნუ თუ სხვა გაზეთებიც მხარს არ დაგვიჭერენ ამ საკითხის რაც შეიძლება მალე გარდაწყვეტაში?

## ფრენის გმირზე

(წერილი ბათუმიდან)

ამ ჟამად ბათუმში იმყოფება მფრინავი ქებურია. მან აქ რამდენჯერმე სცადა ფრენა, მაგრამ თითქმის ყოველთვის მარცხდებოდა. მეტად უნუგეშო ფიქრებს იწვევს ეს დამარცხება პირველ ქართველ მფრინავისა. ის თითქო სიმბოლოა ჩვენი საზოგადოების საქმიანობის დაქვეითებისა. სწორედ ასეთი ბედი ეწევა ხოლმე თითქმის ყოველ ჩვენს საქმეს, ვინაიდან ძნელია საზოგადოების საარაკო გულ-გრილობის შებრძოლება!..

დღეს, როდესაც თითქმის დამონებულ იქმნა სტიქიონი და ჰაერთან ბრძოლაში ადამიანი გამოვიდა გამარჯვებული; დღეს, როდესაც ავიაციამ იმ წერტილამდე მიაღწია, რომ შესაძლებელი შეიქმნა ჰაერში ეკვილიბრისტიკის მოწყობაც-კი (გავიხსენოთ პეგუ, გაბერ-ვლინსკი, ნესტეროვი და სხ.), სავალალო და სასირცხოა, მაგრამ სამწუხაროდ აუცილებელიც არის იმის განცხადება, რომ ქართველ ავიატორს ხეირიანად აფრენაც არ შეუძლიან.

—მაშ ის თავის საქმის არ-მცოდნე, პროფანი ყოფილა?—იფიქრებს მკითხველი. მაგრამ ვინც ერთხელ მაინც დასწრებია ქებურიას ფრენას და მისი მოტორის მუშაობას დაჰკვირვებია, ის ადვილად მიხვდება ნამდვილ მიზეზს მისი დამარცხებისას. ის ადვილად წარმოიდგენს, თუ რამდენად თავგანწირული და უშიშარი უნდა იყოს კაცი, რომ ასეთი მოტორით ფრენა სცადოს. ყველას თვალწინ ნათლად წარმოუდგება ხოლმე იდეის ფანატიკოსის სახე, რომელსაც თავისი პრესტიჟის აღსადგენად არა-თანასწორი ბრძოლა უხდება ჩვენი საზოგადოების უსაზღვრო გულგრილობასთან, მაგრამ ფანატიკოსობასაც თავისი საზღვარი აქვს და ახლახან ჩვენი მფრინავიც დარწმუნდა, რომ ისეთის მოტორით, რომელიც, მას აქვს, ფრენა შეუძლებელია. სწორედ აქ არის საჭირო რეალური დახმარება ჩვენი საზოგადოების მხრივ. როგორც გავიგეთ ბათუმში ხელახლა შეუდგენ (უწინ თბილისში დაიწყო ფულის მოგროვება, მაგრამ მალე შესწყდა... ალბად დაივიწყეს.) მოტორის შესაძენად შეწირულებათა მოგროვებას, რომელზედაც მან უკვე შარშან მიიღო ნებართვა მეფისმოადგილესაგან. გვსურს ვიფიქროთ, რომ ამ მაგალითს სხვა ქალაქებიც წაჰბაძვენ და ქართველი საზოგადოებაც საქმით მოიხდის თავის პირდაპირ ვალს. ამით შეძლება მიეცემა ჩვენს ფრენის გმირს თავისი, როგორც ქართველის, წვლილი შეიტანოს ჰაერის დამონების საკაცობრიო საქმეში. მაშ ნუ ვიზამთ მას, რომ გულწრფელი ფანატიკოსი თავის საყვარელ საქმეს ჩამოვაშოროთ.

**ძიხ. კახი.**

## და ვეღარ ეგუა სული ჩემი...

(ერთი მხცოვანის ნაამბობი)

სოფლის ამაოების გადასავიწყებლად ძველი კაცები, ხშირად ტყისა და მთის შეულახავ თავისუფალ სიფაქიზეს მივმართავდით ხოლმეო, მითხრა ერთმა მხცოვანმა მოსაუბრემ და იქ ვარჯიშობდით ნადირთა დევნაში ფიზიკურად, ხოლო ვისვენებდით სულიერად, ვტკბებოდით ბუნების სრულ მყუდროებით და თვალ წარმტაც მშვენიერებით. ერთ ასეთ დროს ამხანაგებს შეუმჩნევლად მოშორებული, ერთს ვეებერთელა ჯიხვის აღევნებით, საშინლად ქანც-გაწყვეტილი, ერთ იმ ბუნების წიაღის გამონაკვთულ ადგილს მივაწყდი, სადაც ჩემი ულმობელობით დაფეთებული ჯიხვი რქების მტვრევით შევარდა. მეც მეგონა მკვირცხლი ნადირი გაუვალ სიმაგრეში ჩავიმწყვდიე-მეთქი. და მოვმართე სასროლი იარაღი და გავსწიე გამოქვაბულისაკენ, რომ ჩემ წინ უეცრად გამოქვაბულის კარებში მოწამებრივი სახის გამომეტყველი ბერი გამოიმართა. სინამდვილე მოჩვენება მეგონა. შევკრთი...

—რა გინდა შვილო აქ? შემეკითხა ლმობიერი კილოთი ბერი.

—ნადირს მოვსდევ, რომელიც მანდ შამოიჭრა,—ვუპასუხე შემკრთალმა.

—მაშ, აწი მას ხელს ვეღარ ახლებ, შვილო; რადგან ეს ადგილი მაშვრალთა და დევნილთა დასასვენებელია.

მეც ამ კეთილ აზროვნებაში გამოთქმულმა სიტყვებმა, მომართული იარაღი ძირს დამაშვებინა და საშინელი დაღლილობის და გოლცების მგრძნობელი, იქვე ნაძვის ძირს მივეყრდენ. ცნობის მოყვარეობამ ამიტანა. მინდა გავიგო, ვისთან მაქვს შემთხვევა მოულოდნელი შეხვედრისა.

—პური ხომ არა გშიან?—შემეკითხა ბერი.

—პური არა, ვუპასუხე მე—და თქვენი ვინაობის გაგება კი მეტის მეტად მსურს.

—მე მწირი ვარ, შვილო, განდგომილი სოფლის ამაოებისაგან.

—მაშ ძოლანდება არა ხარ?

—არა შვილო! მე იგივე ხორც სხმული ვარ, როგორც შენ.

—მერე რა გინდა აქ?

—დაშორება ბოროტებისა და მით სულიერი დასვენება.

—და სოფელში რა გიშლიდა ამას?

—თვით სოფლის უსწორ-მასწორობა და შურიანობა, შვილო.

—თვისი უსწორ-მასწორობა და შურიანობა თვით სოფელს ჰქონდეს და შენ კი...

—არა შვილო, სოფლის ბოროტება, ფაქიზი გრძნობის ადამიანისთვის ნამდვილი გულქვა დედინაცვალია. მეც მიდედინაცვლა სოფელმან და სულიერ ობლათ გამხადა... ძნელია შვილო, ქვეყნად ცხოვრება უტოლოთ.

—და აქ უფრო უტოლოთ არა ხართ?

—აქ ჩემი ტოლი ბუნების სიდიადეა, მისი სიჩუმით მოცული საიდუმლოება; და სოფელმან კი გრძნობა შემილახა, გული გამიბოროტა და სმენა გამიბინძურა. ამიტომ ამ ქვენა—გრძნობის სამყაროთაგან შექმნილ სოფლის სიმდაბლეს, ვეღარ ეგუა სული ჩემი, და აი ამ უცოდველ ბუნების სიმაღლეს ვეტოლე მითხრა ბერმაო,—დაამთავრა ჩემთან მოსაუბრე მხცოვანმა.

მე არ მგონია, რომ ამ ხსენებულ ბერის სულიერ მდგომარეობას დღესაც ბევრი არ განიცდიდეს ჩვენში... მაშ რაა, ბატონებო, თუ არ გრძნობის შელახვა, გულის გაბოროტება და სმენის გაბინძურება, დღევანდელი ჩვენი სხვადასხვა მიმართულების ორგანოები! თვითეული პარტიათა ორგანო თავ-თავის მოწინაამდეგეთ უკიჟინებენ და ჰკიცხავენ რომ „ბეჭვდითი სიტყვის ეთიკის დაცვა და კრძალვა არ გესმითო“ და რომ თვითოეულივე მათგანი თავ-თავიანთ გაზეთის ფურცლებზედ გაბნეულ მარგალიტებს მოაგროვებდენ, არა გვგონია, რომ რომელიმე მათგანმა პირველი ქვის სროლა გაბედოს... თუ აქამომდე პრესა კეთილზნეობის და მართებულების მღაღადებელი ტაძარი იყო, სამაგიეროდ დღეს მრავალი არა საკადრისი სიტყვის და კილოს მთესველ-მაჩვენებელია...

ამას წინად ორი სოფლელის უსიამოვნო ალაპარაკებას წავაწყდი, რომელთაც ვუსაყვედურე მათი ერთმანეთსადმი უწმაწური სიტყვებით მიმართვაზედ. მაგრამ ერთმა მათგანმა შემდეგი პასუხით მომიჭრა სიტყვა: შე, დალოცვილო, ყველაფერი რომ ჩვენი გაგვეკვირვებათო, აბა ნახეთ ნასწავლი კაცების გაზეთები, რას არ სწერენ შიგა და მე რაღა მეძრახვისო და სხ... ერთი მიბრძანეთ, პროგრესიული ელემენტი ხალხს ზნეობრივად უნდა ასპეტაკებდეს თუ, ათახსირებდეს მას?.. დროა, ბატონებო, ასეთ არა საკადრის ქცევას ბოლო მოეღოს და ნუ ავავსებთ გაზეთის ფურცლებს ლანძღვა-გინებით, რომ მით მკითხველის გრძნობა ასცდეს შელახვას, გული გაბოროტებას და სმენა დაჩლუნგებას.

**ლაჯანელი ბანოვანი.**

## ქართულ მოწაფე-ქალთა სამხატვრო ნამუშევარის გამოფენა

ქართულ გიმნაზიის შენობაში ამ დღეებში გამართული იყო ქალთა სასწავლებლის მოსწავლეთა წლიური სამხატვრო ნამუშევარის გამოფენა. ეს გამოფენა, რომელიც გუშინ დაიხურა, სტოვებდა მნახველში სასიამოვნო შთაბეჭდილებას. იგი განირჩეოდა წინანდელ ამგვარ გამოფენებისაგან უფრო გაჯართოებული და მხიარული სტილით. მადლობა ღმერთს, რომ აღარ აძულებენ ბავშვებს ხატვას ტუშის უაზრო ხმარებით და მთელ წელიწადს ერთი ორნამენტის ხატვით, რაც სრულებით არ შეეფერებოდა ნორჩ მოსწავლეთა ბუნებას. გამოფენაზე ახლა ყველა შეამჩნევს ხოლმე ბავშვების მხრით საგნის სიყვარულს, მათ თავისებურობას მეტადრე სხვა და სხვა ფერების შეზავებაში. წინად ბავშვები იტანჯებოდენ, ახლა ხატვენ. ეს კი წინამორბედია მხატვრული თვალის განვითარებისა. მხატვრულ თვალს სწორედ ისეთივე განვითარება სჭირდება, როგორც მუსიკალურ სმენას. წინად წინააღმდეგნი იყვნენ ბალღების გაბედული ჩვილი მხატვრობისა, მაგრამ აქ ისევე ხდება, რაც ბავშვის-მიერ ენის შესწავლის დროს. როგორც ბავშვისათვის საჭიროა, სანამ მეცნიერულად შემუშავებულ ენას შეისწავლიდეს, მხიარული და ლაპარაკის მსგავსი გაბედული ტიტინი, ისე საჭიროა ბავშმა გაბედულად ჰხატოს ყველაფერი, რის ხალისიც ექნება. გაბედული ტიტინი ბავშვს ასწავლის ენის მობრუნებას. ამ ვარჯიშის წყალობით იგი კარგი მოლაპარაკე, ხშირად ორატორი ხდება. თუ ყველა ეს მას აუკრძალეთ, ადვილად შეიძლება მუნჯად დარჩეს. სწორედ ასე ხდებოდა, როცა ვითომ ხატვას ასწავლიდენ. მაშინ ამ საქმეს უფრო აძულებდენ ბავშვებს. ამ მიზეზით აიხსნება, სხვათა შორის, ჩვენი ინტელიგენციის მხრით ხატვის არცოდნა. ამ ნაკლს რუსეთის მწერალ-მოღვაწენი თითქმის აშორებულნი არიან. გოგოლმა, ჩეხოვმა, ანდრეევმა, იასინსკიმ, ზაიცევმა, შალიაპინმა და სხვ. თითქმის ზედ მიწევნით იცოდნენ და იციან ხატვა, ქანდაკობა და ხელოვნების სხვა დარგიც. ეს ძალიან ეტყობა გოგოლს, ჩეხოვს, ზაიცევს და ანდრეევს. მათ სიტყვა-კაზმულ ნაწერებში კოხტა სიტყვათა რხევის გარდა, მხატვრული სურათებიც ხშირად სცვლიან ერთმანეთს. ჩემის მხრით სრულ კმაყოფილებას ვაცხადებ ხატვის საქმის გამოკეთებით ქალთა სასწავლებლის კლასებში. მხატვრობის მასწავლებელს ანასტასია ამირეჯიბის—ქალს კარგადა აქვს დაყენებული ხატვის საქმე, სტილიზაციაც. მხოლოდ ესკიზებს უნდა მიექცეს უფრო მეტი ყურადღება. ესკიზებში გამოითქმის პიროვნება მხატვრისა. ესკიზის ხატვის დროს [illegible] ჰგრძნობს, რომ მხატვრულის თვალით არ უნახავს მას ქვეყანა და შემდეგ აკვირდება. ესკიზების მხრით „განათლების“ სკოლა უფრო წინ არის, მხოლოდ სტილიზაციის მხრით საჭიროა ნაბიჯის წინ წადგმა.

**მხატვარი მოსე თოიძე.**

## მოწაფის მოთქმა

დადგა 1914 წელი და თბ. ქართულ გიმნაზიის ხელმოკლე მოსწავლეთ ერთი არა-სასიამოვნო ამბავი მოუტანა, სახელდობრ სწავლის ფულის მომატება: გახადეს შვიდ თუმან-ნახევარი.

დიაღ შვიდ თუმან-ნახევარი!..

მერე როგორა ჰგონიათ, საიდან უნდა მოიტანოს ეს შვიდ თუმან-ნახევარი ღარიბმა ხელმოკლე მშობელმა, როდესაც ოთხი თუმნის შემოტანაც კი უჭირდებოდა. ბევრჯელ იძულებული ყოფილა ამ ხელმოკლე მშობლის შვილი სწავლისათვის თავი დაენებებინა ნივთიერ შევიწროების გამო და ეხლა კი უცბად 75 მან!..

ასეთები ეხლა დარჩებიან უსწავლელნი! მაშ რა ქნას, სად წავიდეს,—როცა „ქონება“ ნებას არ აძლევს? მიჰმართონ სამოქალაქო სასწავლებელს? და ესეც ხომ იმდენს არაფერს აძლევს, ცხოვრებაში უბრალო გადამწერის ადგილსაც კი იშვიათად მისცემს აქ სასწავლებელში „კურს“-დამთავრებულს? ვიღას რჩება ეს ქართული გიმნაზია? მხოლოდ შეძლებულებს.

მაშ მოიკალ ხელმოკლე ახალგაზდავ, ის მხურვალე ახლად გაღვიძებული წყურვილი სწავლისადმი.

მერე რისთვის, იმისთვის რომ არა გსურს სწავლა?..

არა, მხოლოდ იმისთვის, რომ მატერიალური პირობები ნებას არ გაძლევენ.

მახსოვს პირველად, წლიური გადასახადი 12 მ. იყო. შემდეგ თანდათანობით ხუთი თუმანი გახდა. ამ ფულს, როგორც იყო, შოულობდა მშობელი. წვითა და დაგვით ზრდიდა თავის შვილებს, და ეხლა კი უცბად 75 მანეთი ძარტო სწავლის გადასახადი. ახლა შვილების შენახვა? იძულებული ხდება შვილები უფრო ცუ პირობებში ჩააყენოს, დაუქირავოს ია ქვედა სართულის ბნელი ოთახი, ია სასმელი მიუჩინოს და სხვა. როგორც ყველა შეგნებულს მოეხსენება, ამგვარ პირობებში მოსწავლისათვის კი ძალიან ძნელია და თითქმის შეუძლებელი სწავლის ნორმალურად გაგრძელება.

ბნელ ოთახში და ნესტიანში გული აღარ უდგება, პირდაპირ არ შეუძლიან ჩაიხედოს წიგნში. მრავალი ნორჩი მოსწავლე, ასეთ პირობებში ჩაყენებული, იძულებულია თავის დრო უმნიშვნელოდ და უაზრო ხეტიალში გაატაროს. კარგ პირობებში კი, რო ყოფილიყო, სულ სხვა იქნებოდა.

წარმოიდგენია მომავალი წელი.

აი დადგა უკანასკნელი ვადა სწავლის ფულის შეტანისა, კლასში ხუთ ექვსი სწავლის ფულიდან განთავისუფლებული ზის და რამდენიმე სუფთად ჩაცმული, დანარჩენი უმრავლესობა კი ეზოში, ქუჩაში სდგას და დაღვრემილი გაჰსცქერის სასწავლებლის მათთვის დახშულ კარებს!..

დიაღ, ასეთია მოსალოდნელი მომავალი მოწაფეების უმრავლესობისა, რომელნიც იზრდებიან ამ ერთადერთ გიმნაზიაში, სადაც ცოტაოდნად მაინც ტრიალებს ქართული სული.

ეს ერთი სასწავლებელი ჰქონდა ახლად გამოღვიძებულ ხელმოკლე სოფლის ხალხს, სადაც შეეძლოთ მათ შვილებს სწავლის მიღება. როგორცა სჩანს მ ეს ერთად-ერთ იმედიც უნდა დაჰ გონ...

ვისღა მიჰმართონ? სად წავიდენ? პასუხს ველით, მაგრამ ჯე არის... და თუ იქნება, აი რ „სწავლის ფული რომ არ მოგვემა სასწავლებელი უნდა დაგვეკეტა“ მაგრამ ეს რა ჩვენი ბრალია?

რად ებღაუჭებოდენ ვარსკვლავებ და ამის შემდეგ აყვედრებენ ახალგაზრდობას, შუბლ-შეჭმუხვნილი დადიხარ პესიმიზმს შეეპყრობიხართ და სხვა.

ამისთანა პირობებში განა ადვი არაა უკანასკნელ სასოწარკვეთილება და უიმედობამდე მისვლა?

როდესაც მოსწავლემ გაიგო და სისხლხორცა სწავლის საჭიროება, აუცილებლობა, მაშინ იძულებული ბა ასეთ პირობების გამო სწავლას მიანებოს...

ნუ თუ შველა არსაიდან სჩანს?..

**ვინმე მოწაფე.**

# პირახვეულობა

(წერილი ქუთაისიდან)

თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში დედაკაცებს ჩვეულებად ჰქონდათ ვაჭრობის დროს, უსათუოდ პირახვეულნი ყოფილიყვნენ. ამ ჟამად ეს ჩვეულობა თანდათან ისპობა, მაგ., ხონში ეხლა იშვიათად შეხვდებით პირახვეულს ქალს. ასეთ ჩვეულების მოსპობა, რა საკვირველია სასურველად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ის უნდა მოისპოს არა მხეცური საშუალებით; არამედ ხალხს უნდა აუხსნან მისი მავნებლობა... ამას წინად სოფელ დიდი-ჯიხაიშის ბაზრობის დროსა გაჩნდნენ მთავრობის დარაჯები, რომელთაც სასტიკი ბრძანება გასცეს: ყველამ უსათუოდ პირი უნდა მოიხადოთო, დედაკაცები კი პირახვეულნი წამოსულიყვნენ ბაზარში, ძველ ტანისამოსში გამოწყობილნი. ესენიც ამ ბრძანებით დაშინებულნი ზოგი დუქანში იმალებოდა და ზოგი კიდევ სად. უმეტეს ნაწილს სცხვენოდა ამ ძველ ტანისამოსში გამოწყობილი როგორ გამოჩნდეთო.

თუ მთავრობას ხალხის გამოფხიზლება სურს, მან ძალადობის ხერხს კი არ უნდა მიმართოს, რასაც ცუდი გავლენა მოსდევს ხოლმე, არამედ შეაგნებინოს ხალხს, გამოაკრას ბაზარში განცხადება, რის ძალითაც ვინც პირახვეული ივლის, დაჯარიმებული იქნება.—პირახვეულობას, თუ სპობენ, ისევ ხომ ხალხის საკეთილდღეოდ, მაშასადამე უნდა გამოაცხადონ ადრე სასოფლო ყრილობაზე ამ ჩვეულების მავნებლობა. მაშინ დარწმუნებული იყვენ, „პირახვეულობა" უსათუოდ თვითონ მოისპობა. დღეს კი მთავრობა ამისთანა ხერხით მიზანს ვერ მისწვდება, რადგან ხალხი ამბობს: „ეს ჩვეულება ასი წელიწადია გვქონია ჩვენ და დღეს თოფების მოღერებით უნდათ მოგვაშლევინონო. მაგათი დაშინებით ჩვენ ამას არ მოვიშლითო". ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ ერთი ამაზედ უფრო სამწუხარო ფაქტიც. იარაღით შეჭურვილ დარაჯებს წინ მიუძღოდა სოფელში ერთი „პატივცემული" პირი, ორდენებით შემკული, რომელიც უყვიროდა დედაკაცებს ჩქარა პირი აიხადეთო...

ი. იმერელი.

ჩვენის აზრით, აქ რაღაც გაუგებრობაა! რად დასჭირდა ადგილობრივ ადმინისტრაციას ასეთის დასაგმობ საშუალებით ხსენებულ ჩვეულების მოსპობა. ჩვენ გვგონია, ადმინისტრაციამ გადალახა ის საზღვრები, რომელიც მიჩენილი აქვს კანონისაგან. მავნე ზნე-ჩვეულების გადაგდება შესაძლებელია მხოლოდ ხალხის ჩაგონებით, განათლების გავრცელებით და არა ძალ-დატანებით.

ჩვენ პირდაპირ გაკვირვებული ვართ, ვინ მისცა ასეთი უფლება ხსენებულ სოფლის მოხელეებს ასე უკანონოდ და ულირსად მოქცეულიყვნენ.

რედ.

## საქართველოს ამბები

**სად. შორაპანი.** დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც სად. შორაპანში არსებობს ადგილობრივ რკინის გზის მოსამსახურეთაგან შემდგარი დრამატიული წრე, რომლის ხელმძღვანელად და დამაარსებლად უნდა ჩაითვალონ გ. ნუკრაძე და ბ. შესტაკოვიჩი, პირველი როგორც რეჟისორი და მეორე როგორც გამგე და მშრომელი მის კარგ ნიადაგზე დაყენებისათვის. წრე ჯერ, თუმცა, სუსტია, როგორც სცენის მოყვარეებით, ისე სხვა მხრივაც, მაგრამ იმედია, რომ იგი, ზემოაღნიშნულ პირების შემწეობით, მალე უფრო კარგს ნიადაგზე დადგება და მოეწყობა.

წრის მოქმედებას და წინსვლას ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი აქვს, რომლის [illegible] აშორება, მას უფრო გაუკვალავს [illegible] ერთი უმთავრესი მიზეზი, რომელიც მოქმედებას ზღუდავდა, იყო სცენისა. საკუთარი შენობის უქონლობა. დღეს [illegible] ძლეულ იქნა. გვაქვს ახლა საკუთ. სცენა. სცენის შენობას და თვით [illegible] ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია, მაგ[illegible] ნათქვამია, სულ არარაობას ცალუღელა ჯობიაო, ჯერ რაც გვაქვს, ამას უნდა [illegible] ჯერდეთ, მოვუაროთ და ვიმეცადინოთ [illegible] კარგად მოწყობისათვის. ამასაც არ მოველოდით თუ შევიძლებდით, მაგრამ ბ. შესტაკოვიჩის მეცადინეობით ეს სიძნელე [illegible] იქნა.

წრის წინსვლის და მოქმედების შემაფერხებელი არის კიდევ დღეს გამგეობის [illegible] ნლობის უვარგისობა. ამაში კი ჩვენ [illegible] მოსამსახურენი, ვართ დამნაშავენი, რადგანაც არჩევნების დროს გამგეობის წევრებად ავირჩიეთ ისეთი პირნი, რომელთაც [illegible] სამსახურის პირობების გამო თავისუფალი [illegible] არ დარჩენიათ, რომ იზრუნონ საზოგადო საქმისათვის და ან ისეთნი, რომელთაც თეატრი, მისი ბედი და მდგომარეობა სამეტურ პროვინციისთვის სრულიად არ აინტერესებთ...

გამგეობას არა აქვს აგრეთვე წესდება, რომლის მიხედვით ის უნდა მოქმედებდეს და ხელმძღვანელობდეს, რის გამოც, ყოველთვის ესა თუ ის საკითხი აურზაურს იწვევს და ყველა თავის აზრს ემორჩილება და ამ რიგად საქმე კი ყოველთვის გაუკეთებელი რჩება. სასურველი არის ახალი გამგეობის არჩევა და წესდების შემუშავება. თეატრს ვერდა გვაქვს საკუთარი სამკითხველო და [illegible]

სამწუხაროდ, მიუხედავად, ქართველ მოსამსახურეთა უმეტეს ნაწილისა, დაგვინიშნეს რუსი მღვდელი, რომელსაც ქართულის სულ არა გაეგებარა. ბევრს სცდილობენ მოსამსახურენი, რომ მის მაგიერ დაინიშნოს ქართველი მღვდელი, რომელსაც შეეძლება წირვა როგორც ქართულად ისე რუსულად. ამით მე მგონია, არც ისინი წააგებდენ რასმეს და არც ჩვენ ქართველობას დაგვწყვეტდენ გულს, მაგრამ როდის იყო, რომ ქართველების სამართლიან მოთხოვნას და სურვილს ასრულებდენ, რომ ახლა შეიწყნარონ ჩვენი თხოვნა!

პლ. გოცირიძე.

**ს. ღვარდია.** ჩვენი სოფელი მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე და ეკუთვნის რაჭის მაზრას. გეოგრაფიული მდებარეობა სოფლის მთა-გორიანია. შარის მდინარით, რომელიც იქვე ერთვის რიონს, სოფელი განიყოფება ორ ნაწილად—ზედა და ქვედა ღვარდიათ შარაზედ ხიდია, საიდანაც ზედა-ღვარდიისკენ გადასასვლელად იწყება პატარა აღმართი „კარისად" წოდებული. ადგილობრივი მკვიდრნი ყველანი ხვნა-თესვას, მევენახეობას მისდევენ და ნაყოფსაც კარგს ნახულობენ მაშინ როდესაც დანარჩენი რაჭის სოფლები სიმშილობას განიცდიან, აქ წინაამდეგს ვხედავთ; ძვირად შეხვდებით ისეთ გლეხს, რომელიც ყოველ წლივ სიმინდს არ ჰყიდდეს. ვის არ მოეხსენება, რაჭა-ლეჩხუმში სიმინდის მოსავლით განთქმული „ღვარდიის ჭალა", რომელიც უხვად აჯილდოებს მუშის მარჯვენას? კულტურულ მხრითაც არ არის ეს სოფელი ჩამორჩენილი აქაურებს. აქვთ ერთ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი და ზრუნავენ მის განკარგებისათვის

წარსულ თვეში, ამ სოფლიდან ლეჩხუმისკენ გადასავალ მთაზედ, გატაცეს დიადაშელი ებრაელი (მეწვრიმალე) და წაართვეს ოცდაათი თუმანი. გამტაცებლის შესაპყრობად მსწრაფლ გამოცხადდა ამბროლაურის ბოქაული ბ. ცხადაძე გამოძიების შემდეგ დამტემათ აღმოჩნდა ვინმე ლეჩხუმელი ახვლედიანი, მაგრამ არ ვიცით, რად მისცა ამ ბოქაულმა ეს საქმე დავიწყებას?

სოფ. ჭრებალოს (ლეჩხუმშია) საპოლიციო მოწესემ ბ. აიადაროვმა კვლავ შეიპყრო იგი და ლაილაშის ბოქაულს ბ. კედიას წარუდგინა, მაგრამ ზოგიერთ თავად აზნაურთა მეოხებით იქაც განთავისუფლებულ იქნა დამნაშავე და ამნაირად საზარელ მოქმედების მიფუჩეჩებით ებრაელიც და მთელი საზოგადოებაც შეძრწუნებული დარჩა.

საკვირველია ასეთი მოქმედება!

ნუ თუ ვერ მიმხვდარან, რომ ამნაირად ავაზაკის დამალვით ისინი ხელს უწყობენ საძაგელ ყაჩაღობის გავრცელებას ჩვენს მუდრო რაჭა ლეჩხუმში?

ათ მისს აქ ახლად გავარდნილ ყაჩაღ ყიფიანის ძმის დროს ლეჩხუმის დარაჯებმა შეცდომით მსუბუქად დასჭრეს მათივე გზის მაჩვენებელი რომანოზ დვალი.

კორტელი.

**ს. ბაჯი.** შვიდ მაისს, ს. ბაჯში (რაჭა) საზარელი ამბავი მოხდა: ყოშხელ თავყიფიან გელოვახთა სანადიროდან დაბრუნებულმა ჯგუფმა, ვითომ კოხინჯრობა დღეს მუშაობისათვის, საკუთარ ყანაში სამინდად სცემა სპატიერ და შარდენა სვანიძეებს რაცა უკანასკნელებმა საჩივრით მიმართეს ამბროლაურის ბოქაულს—მან უცნაურად გადაწყვიტა სამართალი: ორთავე ნაცემნი ციხეში გაგზავნა დაუპირა.

ნუ თუ დრო არ არის მოისპოს ჩვენში მკლავმძლეობა?

**ს. ჭრებალო.** (ლეჩხუმი). გული სიხარულით გევსება, როდესაც უყურებ ამ მშვენიერ პატარა ბაზარს მოხდენილად რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზედ გაშენებულს, გარშემო ბორცვებიდან გადმომყურე მშვენიერ სოფლებს. მაგრამ მალე ითვალისწინებ, თუ არა, აქაურ მოქალაქეთა ყოფა-ცხოვრებას, საზოგადო საქმის აბუჩად აგდებას, მოვაჭრეთა თაღლითობას, ერთმანეთის შურსა და მტრობას, მწარე სევდა გიპყრობს და სასოწარკვეთილებაში ვარდები. ვის არ მოეხსენება, თუ როგორი აურ-ზაური გამოიწვია წვრილი კრედიტის ამხანაგობის საქმემ ამ გაზაფხულის დამდეგს მისი გამგენი, მიუხედავად შეძენილ კარგი ავტორიტეტისა, გამოცვლილ იქმნენ და მათ ადგილზედ ამხანაგობის სურვილით არჩეულ იქმნა ახალი გამგეობა. რას მოგვიტანენ ახალი მესვეურნი ეს მომავლის საქმეა, მხოლოდ ამას კი ვიტყვი ყოფილი ამ ბანკის თავმჯდომარის ბ. კაკო დადიანის, როგორც შეგნებულ და საზოგადოების ყოველ საჭიროების ხელმძღვანელის ასეთ საზოგადო საქმიდან ჩამოშორება, მგონი კარგს არაფერს უნდა მოასწავებდეს თვით ხალხისათვის.

მგონი ყველასათვის საანბანო ჭეშმარიტება უნდა იყოს, თუ კოოპერატიულ დუქანს რაგვარი სარგებლობა შეუძლია აღმოუჩინოს ისედაც გაძვალტყავებულ გლეხობას, თუ იგი კარგ მწარმოებლის ხელშია, რომელიც ხეირიანად ემსახურება თავის მიზანს

სოფლელი გლეხი შეღავათიან ფასში ყიდულობს საჭირო ნივთს და დარწმუნებულიცაა მის სიკარგეში. მან წილის ფულის („პაის") წარდგენით ისიც კარგად იცის, თუ მოგებული ფული როგორ მიდის მომხმარებელ ამხანაგობის სასარგებლოდ. სამწუხაროდ ყოველსავე ახლად დაწყებულ საქმეს ხვდება მრავალი დაბრკოლება. აქაურმა კოოპერატიულმა დუქანმაც მოლოდინი ვერ გაამართლა. კოოპერატიულ მაღაზიის წარმოება თავიდან ისეთ პირს ჩაუგდეს ხელში, რომელმაც ყოველი საშუალება იხმარა როგორმე მისთვის „სულთა თანა" ეგალობა და დაასამარა კიდეც ისე, რომ თითქმის მშრალი განცხადება და შერჩა, რომელზედაც კერძო ვაჭრობა აადორძინა მისმა ძველმა გამგეობამ ე. ი. წინად თუ ერთი ფიქრობდა გამდიდრებას, ეხლა სამი ჩაუდგა საქმეს სათავეში და თავისებურად განაგებენ. საზოგადოებას ეუბნებიან: „მოგების ოთხი პროცენტი ამხანაგობის სასარგებლოდ მიდისო", მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არც არსად იწერება და არც არავითარი კონტროლი აქვს საქმეს. საქონელი თავის ხ.ხელით მოაქვთ და როგორც სხვა დუქნებში, იმავე ფასებში ვაჭრობენ. საკვირველია სწორედ როგორ ეკიდებიან ასეთ წმინდა საზოგადო საქმეს აქაურნი?

არც თუ სამკითხველოა საინტერესო მდგომარეობაში, რადგან ნაკლებად აცხოველებენ მას მკითხველნი. ადგილობრივი მკვიდრნი გაურბიან გაზეთის კითხვას სხვამ რაღა უნდა ჰქნას, როდესაც თვით სამკითხველოს გამგე ძვირად იპოვით დანიშნულ ადგილზე. თუმცა სამკითხველოს ჰყავს შვიდი კაცისაგან შემდგარი გამგეობა, მაგრამ ის სრულებით არ ზრუნავს მის კეთილდღეობისთვის.

დიდი ხანია არ არის, რაც ნატვრა აღგვისრულდა და ჭრებალოს რაიონისათვის აგრონომ-ინსტრუქტორი დაგვინიშნეს. მაგრამ—დახედეთ უბედურობას—ორივე ტომით რუსი გამოდგა და უცოდინარი—გლეხი ვერაფერს აგებინებს მათ. ეტყობათ სასწავლებლის სკამიდან ახლა ამდგარან და მიწის დამუშავების იმდენად გაეგებათ, როგორც მე ჩინური ენისა. სიმინდი, რომელიც შეადგენს აქაურების უმთავრეს სარჩოს, ეტყობათ თავის დღეში არ უნახავთ, განცვიფრებაში მოვიდენ, როდესაც შემთხვევა მქონდა სიმინდის მჭადი მეჩვენებინა. სამუშაო იარაღებიც ისეთი უშნო და ულაზათო მოიტანეს, რომელნიც რუსეთში უფრო გამოდგება, ვიდრე ჩვენს მთაგორიან ადგილებში. მაგალითად სათესი მანქანები იმ სიდიდისა, რომ კარგი უნდა სატლო გზაზედ გაატარო, თორემ ჩვენ სოფლის ვიწრო გზებში როგორ გაატარებ!! შეიძლებოდა ისეთი პატარა იარაღები გამოეწერათ, რომელნიც უფრო შეეხამებოდა აქაურ ადგილ მდებარეობას და ხალხსაც მეტ სარგებლობის იმედს აღუძრავდა.

კორტელი.

ეს ამბავი მეტად სამწუხაროა. ნუ თუ ქუთაისის გუბერნიის სათანადო სამეურნეო გამგეს არა სცხვენია, რომ რუსული ენის უცოდინარ მკვიდრთ უნიშნავს რუს აგრონომ ინსტრუქტორებს?! ან ის როგორ ვერ მოისაზრეს, რომ ყოველ სამეურნეო ადგილს თავის შესაფერი გამოცდილი სპეციალისტი და გამოსადეგი სამეურნეო იარაღი სჭირდება?!..

ასე ასრულებენ საერობო მოვალეობას მთავრობის მოხელენი ჩვენში!..

ეს პირდაპირ დაცინვაა ხალხისა და არა მისი დახმარება!!

იმედი გვაქვს ამ გარემოებას მიაქცევს ყურადღებას, როგორც ადგილობრივი პრესა, განსაკუთრებით სამეურნეო ჟურნალები, აგრეთვე კავკასიის და ქართული სამეურნეო საზოგადოებანი.

გაყუჩება არ შეიძლება ამ საქმეში.

რედ.

რედაქტორ-გამომცემელი
**გრიგოლ დიასამიძე.**

ივნისის 2 რიცხვს, ორშაბათ დღეს
(საკუთრივ [illegible] (სახალხო სახლი)
[illegible]
ქართულ თეატრში მოხდება [illegible]

შველა დარბაზი: თეატრის, კლუბის,
(ჩვენ მეღვინეების მარკების უბის)
[illegible]
ხალხი დაფხვებით: ვერის, დიდუბის,
თბილის-ქალაქის სოფელი უბნის,—
[illegible]

მხიარულება, სილამხარბარი,
ლხინის სიამე გულგასახარი,
გაგიჭრება უჩემ,
და როგორც ბაღლი თევზს ტალ ბალებში,
[illegible]
დაიწყებ ცურვას.

ხილვით ყველს მიგეხს, აჰმიჭებს:
[illegible]
ვერც დაულამბავს, ვერც დაბორმბილებს,
ვერცა საკუთარს, ვერც ხაჭუმილებს!..

დაგიტყდება: გლეხია— ნაცვალი,
ობოლი— ბორატი დედინაცვალი,
ხონსანა— ძღირ;
მოხელი—ქოთამი და წორინობა,
ქართველ ჟურნალისტს—ლანძღვა-გინება,
არტისტს—სადილი!..

მაშ შეიძინეთ ჩქარა ბილეთი,
[illegible]
თეატრს მჭლდება...
ძირს კაეშანი, დარდები ზრუნვა!..
[illegible]
ლექსი გაწყდება!)

**სავაჭრო სკოლა**

უფლებიანი სავაჭრო კურსები და საზოგადოებრივი გიმნაზიებისა და სხვა სასწავლ. მოსამზადებლად.

ივანე ზაქარიას-ძე ტერ-სტეფანოვისა,

[illegible]

მიხეილის პროსპექტი; № 36.

ხელოვნურად სამკურნალო და მუშავებული ხ.ლეუ ობის წყალი



**მიტროფანე ლაღიძე და ამ.**

მზადდება სუფთა ხილის წვენისაგან, [illegible]

**გემო და სუნი საამური აქვს**

ფირმა დაჯილდოვებულია [illegible] კურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 411.
ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.

**„თემი"-ს რედაქციის გამოცემა.**

ს. აბაშელის ლექსთა კრებული

**„მზის სიცილი"**

ავტორის სურათით და ბ. ივანე გომართლის წერილით.

**ფასი 50 კაპ.**

ვინც გამოიწერს ფას-დადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25 %, საკომისიოთ—20 %. **მისამართი: გაზ. „თემი"-ს კონტორა.**

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

ქსენიას ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

**სტაციონური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრები და საერთო ოთახები. განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმი-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი | **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.<br>ექ.-ქ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ დღე გარდა კვირისა 1—2 |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$).<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და სამშ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12,<br>**თაკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | ექ. ქალი **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოველ დღე, გარდა ოთხშ.) 1-$1^1/_2$ს<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | **ჯაგახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ. და შაბათ. 12—1<br>**ფონდოევი გ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყელ. ყურ. და ცხვ. | **ბთენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—$1^1/_2$.<br>**ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $1^1/_2$—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათა'მანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" 914 და **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით.

„სორაპანის" გამოცემა

**დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად**

**სრული სამზარეულო**

**შედგენილი კნ. ბარბარე ჯორჯაძის მიერ.**

წიგნი დიდი ზომისაა და ჩართული აქვს მრავალი სურათი.

**ფასი ყდით 1 მ. 40 კაპ. ✦ უყდოთ—1 მ.**

**თხზულებანი**

**გიუ-დე მოპასანისა**

**დასურათებული**

**ფასი ერთი მანეთი**

**მიწერ-მოწერის წიგნი**

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის-მიერ.

ფასი 30 კ.

**ვინც სამივე წიგნს ერთად გამოიწერს მას გასაგზავნი ფული არ გადახდება**

მსურველს ფოსტით „ნალოჟნი პლატეჟითაც" გაეგზავნება.

**ადრესი:** Тифлисъ, типографія »Сорапань«
М. Гачечиладзе.

**გრამოფონები**

**„მონარქი"**

საფაბრიკო საწყობი **გ. ს. დავიდოვისა**

გოლოვინის პრ. № 6 თბილისის საკრებულოს ქვეშ ტელ. 10-38

**განყოფილება:** ავლაბარი, კახეთის მოედანი, სახლი ვართანოვისა.

**დიდ-ძალი** ასარჩევი ფირფიტები და გრამოფონები საკუთარი მოდელების „იაკობის" მარკისა

✦ **ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად** ✦

მიღებულია სადეკლამაციოდ ფირფიტები: მგოსანი აკაკი წერეთელი კითხულობს თავისს ✦ ✦ ლექსებს.

ვსთხოვთ მიაქციოთ ყურადღება მარკას »Якорь«